შიraki

SHIRAKI

გამოცემის მე-80 წელი

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№7 (9.816)

3 – 10 მარტი 2018 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

სოციალური პაკეტი 20 000 ლარით გაიზარდა

აუტიზმის სინდრომის მქონე ბავშვები დედოფლისწყაროში ერთჯერადად 500 ლარს მიიღებენ

გვ.3

გვ.3

პროექტი – მიწის უფასო რეგისტრაციისთვის!

პედაგოგთა ურთიერთთანამშრომლობა თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მიდგომების დანერგვაში

გვ.6

თითოეული რეფორმა იმისკენაა მიმართული, რომ კითხვის ნიშნები,რაც ს/ს სამინისტროსთან მიმართებაში დღეს არსებობს, ხვალ აღარ იყოს

გვ.5

ღმერთი თავის გაჩენილს კიდეც დაარჩენს

გვ.4

დედოფლისწყარომ სასკოლო ოლიმპიადის კახეთის პირველობას უმასპინძლა

გვ.3

გვ.2

ქალი – სუსტი თუ ძლიერი?!

სამი მედალი საქართველოს მკლავჭიდის ჩემპიონატიდან

გვ.8

C M Y K

თითოეული რეფორმა იმისკენაა მიმართული, რომ კითხვის ნიშნები, რაც შს სამინისტროსთან მიმართებაში დღეს არსებობს, ხვალ აღარ იყოს

მასშტაბური რეფორმების დაანონსების შემდეგ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ კონკრეტული ნაბიჯები გადადგა და უწყების რეფორმირების კუთხით საზოგადოებას სიახლეები შესთავაზა. შეიქმნა ახალი დეპარტამენტი და იგეგმება, იმ კონკრეტული რეფორმების პრეზენტაცია, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფებსა და სტრუქტურულ ერთეულებს ეხება. შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი პირები ამბობენ, რომ რეფორმების დიდი ნაწილი დანაშაულზე სწრაფ და ეფექტურ რეაგირებას შეუწყობს ხელს. რეფორმების პარალელურად კი, შსს წინაშე არაერთი გამოწვევაა, მათ შორის არასრულწლოვნებში დანაშაულის პრევენცია. რას გეგმავს სახელმწიფო 14 წლამდე მოზარდებში დანაშაულის აღკვეთისა და პრევენციის კუთხით, ვინ არიან ის ჯგუფები, ვინც დანაშაულის ჩამდენი 14 წლამდე მოზარდების უკან დგანან, რა საკანონმდებლო ცვლილებები იგეგმება, რომლითაც არასრულწლოვნებისთვის ცივი იარაღის მიყიდვა შეიზღუდება და რა სიახლეები იგეგმება საზღვრის იმ მონაკვეთების გასაკონტროლებლად, რომელიც დღეისთვის უკონტროლოა, ამ საკითხებზე "ინტერპრესნიუსი" შს მინისტრის მოადგილე ნათია მეზვრიშვილს ესაუბრა.

- შინაგან საქმეთა სამინისტროს, უკვე რამდენიმე თვეა, ახალი მენეჯმენტი ჰყავს. თავდაპირველად ზოგადი შეფასება მინდა გთხოვოთ, რა სიტუაცია დახვდა ახალ მინისტრს და მის გუნდს უწყებაში, რომელი საკითხებია, მოწესრიგებული და რა არის პრობლემები, რომლებიც სასწრაფოდ მოსაგვარებელია?

- ძალიან ბევრი წინგადადგმული ნაბიჯი დაგვხვდა ბევრი მიმართულებით, იგივე საგზაო უსაფრთხოების კუთხით და ცალკეული სტრუქტურული დანაყოფების საქმიანობის მიმართულებით. ჩვენ მოვახდინეთ სიტუაციის ანალიზი და რამდენიმე მიმართულებით დავიწყეთ რეფორმა. პირველ რიგში რაც გავაკეთეთ, ადამიანის უფლებების თვალსაზრისით შევქმენით ახალი დეპარტამენტი, დავიწყეთ კრიმინალური, სასაზღვრო და საპატრულო პოლიციის რეფორმა, თუმცა ამ ნაწილში რეფორმა შეეხება ე.წ. Back Office-ს და არა Front Office-ს. სტრუქტურული რეფორმების პარალელურად დავიწყეთ შინაარსობრივი რეფორმების განხორციელება.

როგორც გითხარით, პირველ რიგში რაც გავაკეთეთ, არის ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული დეპარტამენტის შექმნა. ის, პრაქტიკულად, უკვე ფუნქციონირებს. შევარჩიეთ ის 10 თანამშრომელი, რომლებზეც კონკურსი გვქონდა გამოცხადებული. ნაწილი უკვე დავნიშნეთ. უახლოეს დღეებში დეპარტამენტი სრულად დაკომპლექტდება და ჩვენს მიერ შერჩეულ ადამიანებს საზოგადოებას აუცილებლად გავაცნობთ. მათი ნაწილი სტრუქტურის შიგნიდან შევარჩიეთ, ვინაიდან გვინდოდა ბალანსი დაგვეცვა და გვყოლოდა ადამიანები, რომლებსაც გამოძიების გამოცდილება აქვთ და იციან გამოძიების ხარისხის კონტროლი როგორ განახორციელონ, ნაწილი კი სისტემის გარედან, კონკურსის წესით შეირჩა, მათ შორის ავიყვანეთ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელიც.

- ახალი დეპარტამენტის ძირითადი და კონკრეტული ფუნქციები რა იქნება?

- მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში გვაქვს პროგრესი, მიუხედავად იმისა, რომ გაცილებით მკაცრი გავხდით ოჯახში ძალადობის მიმართ, ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე, მიუხედავად იმისა, რომ გაზრდილი და წინა წლებთან შედარებით გაოთხმაგებულიც კი არის შემაკავებელი ორდერების გაცემის რაოდენობა და ზოგადად სახელმწიფოს პოლიტიკა არის მკაცრი, მაინც არსებობს გარკვეული გამოწვევები გამოძიების პროცესში, რასაც უფრო შეიძლება ვუწოდოთ მგრძნობელობის ნაკლებობა ამ კატეგორიის საქმეების მიმართ. შესაბამისად, იმისთვის, რომ გამოძიება გაცილებით ეფექტური გახდეს ვიდრე დღესაა, შეიქმნა ეს დეპარტამენტი. ის ძალადობის თითოეულ ფაქტს, რომელიც მის კომპეტენციაში შედის, კვალდაკვალ მისდევს გამოძიების ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეულ შემთხვევაზე დროულ რეაგირებას, დროულ გამოძიებას უზრუნველყოფს, ასევე გასცემს რეკომენდაციებს, განსაზღვრავს სისხლის სამართლის პოლიტიკას, ანუ მონიტორინგს განახორციელებს, თუმცა ამავე დროს ექნება ხარვეზებზე რეაგირების მნიშვნელოვანი ბერკეტები. მაგალითად, თუ დეპარტამენტის თანამშრომელი აღმოაჩენს, რომ გამოძიების პროცესში გარკვეული ხარვეზებია და ვთქვათ, არასრულწლოვანი გამოკითხულია კანონიერი წარმომადგენლის დასწრების გარეშე, ამაზე მას ექნება უფლებამოსილება, რომ მიმართოს პირდაპირ შს მინისტრს რეკომენდაციით, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების შესახებ. გარდა ამისა, არასრულწლოვნებთან დაკავშირებული საქმეების გარდა სპეციალიზებული გამომძიებლები გვეყოლება ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციული მოტივებით ჩადენილი დანაშაულების და ტრფიკინგის საქმეებზე. ყველა პოლიციის დანაყოფში, სადაც არ უნდა ჩახვიდეთ, იქნება მინიმუმ ერთი გამომძიებელი, რომელსაც გავლილი ექნება სპეციალური გადამზადება. ეცოდინება მაგალითად, როგორ უნდა გამოკვეთოს გენდერული მოტივი, რაც გარკვეულ შემთხვევაში პრობლემაა. ეს საბოლოო ჯამში, მიგვიყვანს იქამდე, რომ 2018 წლის ბოლომდე, ჩვენ, ის პრობლემები, რაც გამოძიებაში გვაქვს, მინიმუმამდე დავიყვანოთ.

რაც შეეხება სპეციალიზებულ გამომძიებლებს, ისინი სპეციალური კრიტერიუმების მიხედვით შეირჩევიან, გათვალისწინებული იქნება მათი სურვილიც, ვინაიდან არ შეიძლება ბავშვთან იმუშაოს გამომძიებელმა, რომელსაც ბავშვი არ უყვარს, ან არ შეიძლება ჰომოფობმა გამომძიებელმა იმუშაოს სექსუალურ უმცირესობებთან, შესაბამისად, ყველა ამ კომპონენტის გათვალისწინება მოხდება.

- საზოგადოება არაერთხელ ყოფილა ისეთი ფაქტის მომსწრე, როდესაც ოჯახში ძალადობის ან სხვა სახის ძალადობაზე პოლიციას თავდაპირველად ჰქონდა რეაგირება, გაუცია შემაკავებელი ორდერი, თუმცა ეს არ აღმოჩნდა საკმარისი, რათა პირს დანაშაული განმეორებით აღარ ჩაედინა და ხშირ შემთხვევაში ეს დანაშაულები ფატალურად დასრულებულა. ასეთი შემთხვევების პრევენციის კუთხით რა გაკეთდება და ახალი დეპარტამენტი რამდენად იქნება ამაში ჩართული?

- თქვენს მიერ მოყვანილი შემთხვევები გამოწვეული იყო იმით, რომ დღემდე არ არსებობდა რისკის შეფასების სისტემა, რათა გამომძიებელს რისკები სწორად შეეფასებინა და შემაკავებელი ორდერის გამოცემის შემდეგ უკეთ განესაზღვრა, ხომ არ არსებობდა ძალადობის განმეორების საფრთხეები. ეს სისტემა ახლა უკვე შექმნილია და პრაქტიკაშია დასანერგი. ჩვენ დაახლოებით 2 თვის ვადაში უზრუნველვყოფთ, რომ აღნიშნული რისკის შეფასების სისტემა მთელი ქვეყნის მასშტაბით დაინერგოს, რომელიც, გაცილებით უფრო დროულად და ეფექტიანად მისცემს გამომძიებელს შესაძლებლობას, ადგილზე უკეთ განსაზღვროს და შეაფასოს რისკები, იმის მიუხედავად, რომ დავუშვათ მსხვერპლმა შეიძლება უთხრას - არ მეშინია და მოითხოვოს, არ გამოიცეს შემაკავებელი ორდერი. რეალურად, დღეს პოლიციელი, ისედაც ამოწმებს ძალადობის საქმეებს - პერიოდულად უკავშირდება მსხვერპლს, მიდის ადგილზე, არკვევს, ხომ არ იყო განმეორების ფაქტები, თუმცა რისკის შეფასების ეს სისტემა, გაცილებით უფრო მეტად მოგვცემს რისკების დაზღვევის შესაძლებლობას.

- კიდევ ერთი გამოწვევა, რომელიც ახსენეთ საზღვარია. დაანონსებულია ამ მიმართულებით რეფორმაც. საკმაოდ ბევრი კითხვაა დაგროვილი ამ მიმართულებითაც. რას გეგმავს შსს საზღვრის უკეთ გაკონტროლებისთვის და როგორ აპირებს ისეთ პრობლემებთან გამკლავებას, როგორიცაა თუნდაც ე.წ. მწვანე ზოლი და ა.შ.

- რეფორმა რამდენიმე კომპონენტს მოიცავს. ჩვენ მოვახდინეთ საკითხების იდენტიფიცირება და განვსაზღვრეთ პრიორიტეტები - რა მიმართულებით უნდა წავსულიყავით იმისთვის, რომ ამ მხრივ მდგომარეობა გაგვეუმჯობესებინა. პირველი - ეს არის ტექნოლოგიების განვითარება და გაძლიერება. მეორე - ეს არის თანამშრომლების გადამზადება ძალიან ბევრი მიმართულებით. მესამე - ეს არის ადამიანური რესურსების გაძლიერება. საზღვარს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს და ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს. მეოთხე მიმართულება, რასაც ძალიან დიდ ყურადღებას ვაქცევთ, არის ანალიტიკური საქმიანობის გაძლიერება და საზღვრის ინტეგრირებული მართვა ანუ შეიქმნება ბაზები, რომლებიც ერთმანეთთან იქნება დაკავშირებული და საზღვრის მართვა გაცილებით უფრო ეფექტურად მოხდება. თუმცა ნომერ პირველი პრიორიტეტი არის ტექნოლოგიები, ტექნოლოგიები და ტექნოლოგიები, რაშიც ჩვენი უცხოელი პარტნიორები გვეხმარებიან და ამ მიმართულებით მუშაობა ძალიან ინტენსიურადაა დაწყებული.

- ამით საზღვრის ის უკონტროლო ტერიტორიები როგორ გაკონტროლდება?

- იქ, სადაც საკმარისი არაა, დამონტაჟდება გაცილებით უფრო მეტი კამერა. ასევე მოხდება სხვა მხრივ ტექნოლოგიური გაძლიერება, რაშიც ჩვენი უცხოელი პარტნიორები გვეხმარებიან.

- შეიძლება ითქვას, რომ რეფორმის სრულად განხორციელების შემდეგ, საზღვარზე, ყველაზე ნაკლები ე.წ. ხვრელები გვექნება?

- კი! რეალურად თითოეული რეფორმა იმისკენაა მიმართული, რომ იმ კითხვის ნიშნებმა, რაც შსს-თან მიმართებაში დღეს არსებობს, ხვალ აღარ იარსებოს.

- იგეგმება საზღვარზე არსებული პერსონალის გადამზადება, თუ შეფასდება პერსონალი და გარკვეულ ნაწილს გაუშვებთ, რის შემდეგაც ახალ კადრებს მიიღებთ?

- ადამიანური რესურსების გაძლიერებასა და პერსონალის გადამზადებაში იგულისხმება ის, რომ იქ, სადაც საჭიროა, ადამიანური რესურსების ოპტიმიზაცია მოვახდინოთ, მივიღოთ ახალი კადრები და იქ, სადაც საჭიროა არსებული კადრების გადამზადება, ისინი გადავამზადოთ.

- საპატრულო პოლიციის რეფორმის კუთხით რა იგეგმება? Back Office-ი ახსენეთ და იყო საუბარი ასევე ე.წ. მეთორმეტე ოთახის რეფორმირებაზე...

- აქ საუბარია იმაზე, რომ ადმინისტრირების პროცესი გახდეს უფრო ეფექტიანი და ყველა იმ სერვისმა, რომელიც მოქალაქეს მიეწოდება, ერთ სივრცეში მოიყაროს თავი, რათა გაცილებით ეფექტურები ვიყოთ. საპატრულო პოლიციის Back Office-ის რეფორმირებაში სწორედ ეს იგულისხმება - ერთიანი სივრცის შექმნა. ასევე საუბარია აქაც ტექნოლოგიების გაძლიერებაზე, რაც ეხება პატრულინსპექტორების სამხრე კამერებით აღჭურვას. ამჟამად მიმდინარეობს არსებული კამერების გამოცვლის პროცესი, რადგან ისინი მოძველებულიცაა და 2013 წლის შემდეგ ეს კამერები არ განახლებულა. განახლების პროცესი

(გაგრძელება გვ.4)

ქალი – სუსტი თუ ძლიერი?!

საუკუნეებით გამყარებულ რწმენა-წარმოდგენებში ქალის ადგილი და რეალიზაციის ასპარეზი ზღვარდადებული, დეტერმინირებული იყო რეპროდუქციული ფუნქციით, შვილების აღზრდით და ოჯახურ-ნათესაური ურთიერთობებით.

კერიასთან მსხდომი ან მოფუსფუსე ქალების გონება მხოლოდ იმ ნივთებით და ადამიანებით იყო დაკავებული, რომელთაც მათი ხელები სწვდებოდა, მათი გული თანაუგრძნობდა. ფარდის უკან მდგომ მამაკაცებს ბევრი ცრემლი დაუღვრიათ და ბევრჯერ აღუწერიათ ქალების ჭირ-ვარამი, მაგრამ ეს მაინც თანაგრძნობა იყო და არა - თანადგომა. ვერავინ შეძლო „ქალის ხვედრის" გახმოვანება მანამ, სანამ დედები, ცოლები და ქალიშვილები თავად არ ალაპარაკდნენ, თავად არ დასვეს მანამდე ვერდასმული კითხვები: რა ხდება იქ, სადაც ჩვენ არ ვართ და რა მოხდება, როცა ოჯახის ზღურბლს გადავაბიჯებთ და შევალთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში?

1911 წელს საკუთარი სამწერლო მოღვაწეობის 40 წლის იუბილეზე ეკატერინე გაბაშვილი ასე მიესალმა მეგობრებს: „ცხრამეტი წლის ვიყავი, როცა გავთხოვდი, მალე დავწვრილშვილდი (თერთმეტი შვილი მყავდა), ძლიერ ხელმოკლე ოჯახში ვცხოვრობდი, ყოველგვარ თავისუფლებას მოკლებული ვიყავი. მე არ დაუმორჩილდი საზოგადო ხვედრს დედაკაცისას, - ყმობას და თავშეწირვას კერისას, - ამისათვის დიდი ბრძოლა დამჭირდა, მაგრამ ბრძოლისათვის ცოტაოდენი ძალაც შემწევდა... მე იმ ვიწრო კედლებს შუა, რომელსაც ოჯახის დიასახლისობას ეძახიან და რომელიც შთანთქავს ხოლმე ხშირად დედაკაცის სულიერ არსებას, პატარა ჭუჭრუტანა გავუკეთე და იქიდამ მუდამ ყურს ვუგდებდი და თვალს ვადევნებდი ჩემი ქვეყნის საზოგადო ზრდასა და მსვლელობას, შევეცადე, ორიოდე აგური მაინც დამედო იმ წმინდა საძირკველზე, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში ჩაჰყარეს ჩემი ქვეყნის საუკეთესო შვილთ. ორი აგურის მომატება საზოგადო სამსხვერპლოზე დიდი რამ არ არის, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ: საცა არა რაა, იქ ცოტაც ბევრად გამოჩნდებაო".

ყველა ქალი პოტენციური დედაა, ესაა მისი უპირველესი მოვალეობა, მაგრამ დედობის გარდა, ქალს შეუძლია იყოს საზოგადოებრივად აქტიური, ბევრი სასარგებლო საქმე გაუკეთოს იმ ქვეყანას, სადაც ის ცხოვრობს. ქალი ხომ საუკეთესოდ გრძნობს არა მარტო ეპოქის მაჯისცემას, არამედ იმ სიძნელეებსაც, რომელიც არსებობს მომავალი თაობის-ჩვენი შვილების აღზრდისა და განათლების სფეროში... საუკუნეების წინ, ღირსეულ დედობასთან და მეუღლეობასთან ერთად, მწერალმა ეკატერინე გაბაშვილმა ქალის თვალით დანახული პრობლემების მიტანა კალმით სცადა. ამ ნაბიჯისთვის მან ხალხისგან აღიარება მოიპოვა და არა დისკრიმინაციული მიდგომა...

1870 წელს გაზეთში „დროება" გამოჩნდა წერილი „გლეხკაცის აზრი სასოფლო სკოლაზე", სადაც ეკატერინემ აღწერა განათლებისადმი (სწავლისადმი) თანასოფლელების დამოკიდებულება, გაუცნობიერებელი შიში ახალი, მათთვის უცხო საჭიროებების მიმართ. ამ პუბლიკაციაში პირველად გაისმა ხალხოსნური, განმანათლებლური შეგონება უბრალო ადამიანების მიმართ: „განა ვერა ხედავ, როგორ ყველაში გჯობიათ სწავლულნი ხალხი: როგორც გონივრობაში, ისე ცხოვრებაში, თუ ჭამით, თუ სმით და ჩაცმით? აქედან ჩანს, რომ სწავლას უფრო ადვილად მოაქვს კეთილი ცხოვრება. გარდა ამისა, განა დღიური ლუკმა მარტო ხვნითა და თესვით მოიპოვება? არა, თქვენისთანა მხვნელ-მთესველს კარგი ცხოვრება ვერ უპოვნია და ვერც თქვენ იპოვნით, იმიტომ ხვნასა და თესვასაც სწავლა უნდა. მეორეც ესა, რომ არიან კიდევ სხვა ბევრი გზები ცხოვრებისა, მაგალითად: ვაჭრობა, ხელოსნობა, ოსტატობა, მხატვრობა, მწერლობა, ხელმწიფის სამსახური და სხვა. ნუ იფიქრებთ, რომ თქვენს შვილებს არ შეეძლოთ ასრულება ყველაფრისა, რაც მე ჩამოვთვალე. სწავლას ბევრი რამ შეუძლიან, შენიშნულია, რომ წარჩინებულნი კაცნი ხშირად უფრო თქვენისთანა ხალხიდგან გამოდიან. ასე, ჩემო ნინო, სიხარულით მიეცით თქვენი შვილები სკოლაში, სწავლა დიდი სამკაულია კაცისათვის და მარტო სწავლას შეუძლიან გამოიყვანოს ხალხი იმ უმეცარი მდგომარეობიდგან, რომელშიაც აქამდისინ ყელამდინ არის ჩაფლული..."

ეს პუბლიკაცია აღმოჩნდა კარიბჭე მწერალი ქალის საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და ასევე ნათელი მაგალითი, მოდელი მთელი მისი შემდგომი ცხოვრებისა. ამ გზაზე ეკატერინე-მოღვაწე არასოდეს დაშორებია ეკატერინე-შემოქმედს. ეს ორი მხარე მისი არსებისა ყოველთვის ურთიერთგანმაპირობებელი და ურთიერთშემავსებელი იყო. ამიტომაც არ დარჩენილა სოციალური სინამდვილის არცერთი მხარე, რომელიც ვერ შეაფასა მისმა ნათელმა გონებამ. მან დაამტკიცა, რომ ქალი არაფრით არაა მამაკაცზე ნაკლები, პირიქით, ნებისმიერ საკითხში შეუძლია მას, მისი თანასწორი გახდეს. ქართულ საზოგადოებას ამის გამო პროტესტი არ გამოუთქვამს, მიიღო და შეიყვარა ის.

დღეს ბევრს საუბრობენ ქალების უფლებებზე, ქალთა მიმართ ძალადობაზე, მაგრამ ავიწყდებათ, რომ ქალს ყველაზე დიდი ძალა აქვს, მთავარია, სწორი მიდგომა ნებისმიერი საკითხის მიმართ. არა მგონია, ქალებს დაცვა გვჭირდებოდეს, ჩვენ რომ მეტად გვიყვარდეს ერთმანეთი და სოლიდარულნი ვიყოთ ერთმანეთის მიმართ. როდესაც ვსაუბრობთ მანდილოსნები ქალთა მიმართ ძალადობაზე, გვავიწყდება, რომ ძალადობის წამხალისებლები ხშირად ჩვენვე, სუსტი სქესის წარმომადგენლები ვართ. როგორ? როდესაც არ აპროტესტებ იმ ფაქტს, როცა ქმარი ცოლს სცემს, როცა ხედავ, როგორ უსწორდებიან ქალს, როცა ის უდანაშაულოა, როცა ქალებისთვის ჩვეულებრივ მოვლენად და ტრადიციის ერთგულებად მიიჩნევა გოგონების წინადაცვეთა, როცა ცდილობ, გამართლება მოუძებნო ქმრის ან ყოფილი მეუღლის მიერ ჩადენილ მკვლელობას და ხელი კვლავ მსხვერპლს შეაწმინდო, უნდა გაიაზრო, რომ შენც ამ დანაშაულობების ხელშემწყობი ან წამხალისებელი ხარ ნებსით თუ უნებლიეთ...

ქალი არასოდეს მიიჩნეოდა სუსტ და დაუცველ არსებად საქართველოში, თამარ მეფის სამშობლოში ამაზე საუბარი უხერხულიც კია, თუმცა, დღეს, ბევრი განვითარებადი ქვეყნის გვერდით, ჩვენს ქვეყანაშიც კვლავ აქტუალურია ფემინიზმზე საუბარი, იქნებ იმიტომ, რომ არასოდეს ვითვალისწინებთ წარსულის გამოცდილებას, არ ამოვდივართ ჩვენი ისტორიული სინამდვილიდან და მხოლოდ მოჩვენებითი რეალობით ვცხოვრობთ... არადა, ყველაფერი ჩვენს ხელშია, დიახ, ქალების ხელში. აბა, მითხარით, ვის არ უყვარს საკუთარი დედა, ან არ აქვს მისი რიდი? ამიტომ ნუ გვიკვირს, თუკი ხშირად ქალები ჩვენივე გამოგონილი კანონებით ვცხოვრობთ- იმ წესებით, რომლებსაც ჩვენვე ვასწავლით შვილებს, შემდეგ კი უკმაყოფილებას გამოვხატავთ ჩვენივე აღზრდილების საქციელის გამო. აგრესიულ ოჯახში ხშირად მოძალადე და აგრესიული ადამიანი ყალიბდება, ხოლო მშვიდ და მოსიყვარულე ოჯახში- კაცთმოყვარე და ჰუმანური.

იქნებ დროა, ქართველმა ქალებმაც შეცვალოთ აღზრდისა და მოქმედების სტრატეგია, ერთმანეთი მეტად შევიყვაროთ და შვილებსაც ხშირად მივცეთ მიტევებისა და დათმენის მაგალითები. როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, აგრესია დაბალგანვითარებული მასების რეაქციაა, ინტელექტუალურ ადამიანებს კი, თუნდაც აგრესიაზე რეაგირების, სხვაგვარი, გაცილებით დახვეწილი მექანიზმი ახასიათებთ.

ინგა ჭიოლაშვილი

სოციალური პაკეტი 20 000 ლარით გაიზარდა

აუტიზმის სინდრომის მქონე ბავშვები დედოფლისწყაროში ერთჯერადად 500 ლარს მიიღებენ

23 თებერვალს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი უძღვებოდა. სხდომას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები დაესწრნენ.

საკრებულომ განიხილა და ერთხმად დაამტკიცა 2017 წლის 19 დეკემბრის N55 დადგენილებაში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომლის თანახმადაც აუტიზმისა და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების ოჯახები ადგილობრივი ბიუჯეტიდან ერთჯერადად 500 ლარს მიიღებენ.

სხდომაზე ასევე გადაწყდა, რომ გაიზრდება იმ სოციალურად დაუცველი მოქალაქეების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის ღირებულების დასაფარი ხარჯები, რომლებიც აქამდე სარგებლობდნენ აღნიშნული შეღავათებით და განისაზღვრა 18 ან 22 ლარით.

აღნიშნული ცვლილებები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში აისახა და, შესაბამისად, ბიუჯეტის სოციალური პაკეტი 20 000 ლარით გაიზარდა.

სხდომაზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის სამუშაო გეგმა დამტკიცდა, რომელშიც გაწერილია საკრებულოს მოქმედი კომისიების სამუშაო გეგმა. რაც საკრებულოს მუშაობას უფექტურს და მოქნილს გახდის.

დედოფლისწყარომ სასკოლო ოლიმპიადის კახეთის პირველობას უმასპინძლა

24 თებერვალს დედოფლისწყაროს სპორტულ დარბაზში მაგიდის ჩოგბურთში საქართველოს სასკოლო ოლიმპიადის კახეთის რეგიონული პირველობა ჩატარდა. შეჯიბრს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო. ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ოლიმპიადის მონაწილეებს სიტყვით მიმართა და ასპარეზობაში მონაწილე გუნდებს წარმატება უსურვა. სპორტული ასპარეზობის მიმდინარეობისას ნიკოლოზ ჯანიაშვილი დედოფლისწყაროელ სპორტსმენებს ამხნევებდა და თითოეული სეტის მოგებას მათთან ერთად ზეიმობდა.

დღევანდელ ოლიმპიადაზე დედოფლისწყაროს ორივე გუნდს სამთაწყაროელი სპორტსმენები წარმოადგენდნენ, რომლებმაც შარშან ჩვენი მუნიციპალიტეტის პირველობა მოიპოვეს.

დაძაბულ ბრძოლაში დედოფლისწყაროელმა ვაჟებმა და გოგონებმა ფინალში მოხვედრა შეძლეს და კახეთის ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად თელაველ თანატოლებს დაუპირისპირდნენ.

მაგიდის ჩოგბურთში „საქართველოს სასკოლო ოლიმპიადა-2018-ის კახეთის ჩემპიონები თელავის გოგონათა და ვაჟთა გუნდები გახდნენ, დედოფლისწყაროელები კი მეორე ადგილებს დასჯერდნენ.

გამარჯვებული გუნდები მაისში საქართველოს ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას.

პროექტი — მიწის უფასო რეგისტრაციისთვის!

დედოფლისწყაროს ორი სოფელი, არბოშიკი და არხილოსკალო იმ იღბლიან სოფლებს შორის მოხვდა, სადაც მიწის რეფორმის საკმაოდ მასშტაბური საცდელი პროექტი მიმდინარეობს. საპილოტე პროგრამა ქვეყნის მასშტაბით მხოლოდ 12 სოფელში ხორციელდება და სასიხარულოა, რომ მათ შორის ორი დედოფლისწყაროდანაა.

გასულ კვირას მიწის სისტემური რეგისტრაციის საპილოტე პროექტის ფარგლებში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოსა და არბოშიკში ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრა და პროექტის პრეზენტაცია გაიმართა. პროექტის მენეჯერმა ელენე გრიგოლიამ ადგილობრივ მოსახლეობას საპილოტე პროექტის მიზნები, ღონისძიებები და პროცედურები გააცნო და მოისმინა მათი რეკომენდაციები პროცესის ეფექტურობის გასაზრდელად.

საპილოტე პროექტი არხილოსკალოს საპილოტე არეალზე 2017 წლის დეკემბრის დასაწყისში დაიწყო და საველე-ტექნიკური სამუშაოები თვენახევარში დასრულდა. ჯამში, უკვე აზომილია 1915 მიწის ნაკვეთი, რომელთანაც 985 წარდგენილია საჯაროდ გასაცნობად. დაწყებულია სარეგისტრაციო პროცედურები.

მუნიციპალიტეტის მეორე სოფელ არბოშიკში სამუშაოები 2018 წლის 15 იანვრიდან მიმდინარეობს. უკვე აზომილია 1900-ზე მეტი მიწის ნაკვეთები. საველე-ტექნიკური სამუშაოები მარტში დასრულდება, რომლის პარალელურად განხორციელდება რეგისტრაციები.

საპილოტე პროექტი მსოფლიო ბანკის დახმარებით ხორციელდება და ის მიწის რეგისტრაციის რეფორმის ნაწილს წარმოადგენს. პროექტით უფასოდაა გათვალისწინებული მიწის რეგისტრაცია და მისთვის საჭირო მომსახურებები: უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების მოძიება და აღრიცხვა, საკადასტრო აზომვითი ნახაზის მომზადება, საკადასტრო მონაცემების ცვლილება, საკადასტრო აზომვითი ნახაზის გარეშე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის დაზუსტება, ნოტარიუსის მიერ მხარეთა ხელმოწერის დამოწმება, მედიაცია და თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება.

„იმით ვარ კმაყოფილი, რომ ძალიან ბევრი დამატებითი სამუშაო თავიდან აიცილა ჩემმა ოჯახმა. თუნდაც საჯარო რეესტრში სიარული და რეგისტრაციის პროცესის გავლა, ასევე ნოტარიუსთან რეგისტრაცია. ამ პროექტის ფარგლებში ყველაფერი ადგილზე ერთი მისვლით მოგვარდა და საკითხი გადაიჭრა,“ – აღნიშნავს არხილოსკალოს მკვიდრი, თამარ დავითური.



ამ ეტაპზე, სააგენტო სამართლებრივ დოკუმენტაციას ამუშავებს, რის შემდეგაც მოსახლეობას საშუალება ექნება, გაეცნოს საკადასტრო აზომვის შედეგებს და შეიტანოს მასში კორექტირებები.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოში მიწის სისტემური რეგისტრაციის საპილოტო პროექტის ფარგლებში საველე სამუშაოები უკვე დასრულდა. ამ ეტაპზე სააგენტო მიწის ნაკვეთების უფლების დამდგენ დოკუმენტებს ამუშავებს, რის შემდეგადაც მომზადდება აგეგმვითი/აზომვითი ნახაზები.

პროექტი მიწის რეგისტრაციის რეფორმის ნაწილს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში სრულად დარეგისტრირდება კერძო, სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, შეიქმნება მონაცემთა ერთიანი ბაზა და გასწორდება საკადასტრო მონაცემებში არსებული უზუსტობები. რეგისტრაციასთან დაკავშირებულ მომსახურებებს კი მოქალაქეები უფასოდ მიიღებენ.

ილია მარტყოფლიშვილი

ღმერთი თავის გაჩენილს კიდეც დაარჩენს

დღეს ერთი ლამაზი, თბილი და ტკბილი ოჯახის შესახებ მინდა გიამბოთ. არბოშიკელი ვახტანგ ზუბიაშვილი და ოზაანელი ნათია ხუციშვილი უკვე ცამეტი წელია, დედოფლისწყაროში, ევდოშვილის ქუჩაზე ცხოვრობენ. ამ ხნის მანძილზე მათ მეზობლების კეთილგანწყობა და გულწრფელი სიყვარული დაიმსახურეს.

ვახო, როგორც მას ყველა ეძახის, არბოშიკში მურთაზ ზუბიაშვილის და ლია თეგაშვილის ოჯახში დაიბადა 1971 წელს. მას ზურაბი მოჰყვა და, იზრდებოდა ორი ძმა ოჯახის იმედად.

არბოშიკის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა იურდიულ ფაკულტეტზე გააგრძელა, მაგრამ, ოთხმოცდაათიანი წლების გაუსაძლისი მდგომარეობის გამო, სწავლა ვერ დაასრულა.

ოჯახის დიასახლისი ნათია ხუციშვილი 1978 წელს ოზაანში გიორგი ხუციშვილის და დალი ყაჭაშვილის ოჯახში დაიბადა. სამი გოგონა იზრდებოდა ოჯახში ქართული ტრადიციებითა და სათნოებით. ნათიამ ოზაანის საშუალო სკოლა დაამთავრა და სწავლა თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტზე გააგრძელა. იყო სტუდენტობის ლამაზი დღეები. პედაგოგის დიპლომით დაბრუნდა იგი მშობლიურ სოფელში, მაგრამ, ვიდრე მუშაობას დაიწყებდა, ვახო ზუბიაშვილი გაიცნო და ოჯახის შექმნა გადაწყვიტეს. მაშინ ვახო 30 წლის იყო, ნათია – 23. ვახტანგს უმცროსმა ძმამ დაასწრო დაქორწინება და უკვე ორი შვილის მამა იყო იმდროისთვის.უფროსმა ძმამ, ჩვენი ტრადიციისამებრ, მეუღლეს ხელი მოჰკიდა და ოჯახს ცალკე გამოეყო. დაიწყო დამოუკიდებლად ცხოვრების სირთულეები, რომელსაც ერთი პრობლემაც დაემატა. დრო გადიოდა, ახალგაზრდა ოჯახში წყვილი შვილს სულმოუთქმელად ელოდა, მაგრამ... ამ ლოდინში რვა გაუსაძლისი წელი გავიდა.ოჯახის მთელი ეკონომიკური რესურსი მკურნალობას მიჰქონდა.

– არანაირი შეღავათი და დახმარება სახელმწიფოსგან გინეკოლოგიურ მკურნალობას არ ეხებოდა. ყველაფერი ძალიან ძვირი იყო: ანალიზების აღება, მედიკამენტები. რაც კი რაიმე მეთოდი იყო, ყველა გავიარე. 7 წელი ვიწვალე, მერე მითხრეს, ცოტა ხანს დაისვენეო და მეც შევწყვიტე მკურნალობა. იმედი უფრო გადამენურა.ძალიან ვნერვიულობდი, მაგრამ ვცდილობდი, ახლობლებთან და ვახოსთან არ შემემჩნია. სათვალავი არ აქვს, რამდენჯერ მიტირია. ერთხელ მეგობარი ოჯახში გვეწვია. ჩვენ თითქმის ერთდროულად დავქორწინდით. მათი გოგონა უკვე სასკოლე ასაკის იყო და დედამისმა თქვა: წავიდეთ, რადგან ხვალ ბაზრობაზე უნდა წავიდეთ და ბავშვს სასკოლედ ვუყიდოთ საჭირო ნივთებიო. დაგვემშვიდობნენ და წავიდნენ. არასოდეს დამავიწყდება, როგორ „ვიბღავლე“ სახლში შემობრუნებულმა. ვფიცავ, ერთი მისხალიც კი არ არსებობდა ჩემში შურის მსგავსი, უბრალოდ, ძალიან მომინდა შვილი, სიყვარული და მზრუნველობა მასზე. იმ დღიდან, სულ რაღაც ერთ წელში, მე დიდი ბედნიერება მეწვია – დავრჩი ფეხმძიმედ. ეს წარმოუდგენელი რამ იყო ჩემს ცხოვრებაში, ვერ ვიჯერებდი. ვღელავდი, ყოველდღე მეშინოდა, როგორ დამთავრდებოდა ეს ყველაფერი, და აი, 2009წლის 23 ნოემბერს მარიამი დაიბადა. ჩემი ცხოვრება და ოჯახის შეგრძნება მარიამის დაბადებიდან იწყება. მარიამს 2012 წლის 13 ივლისს ანდრიას დაბადება მოჰყვა, 2015 წლის 4 მაისს კი გიორგი დაიბადა. დიდი საზრუნავია შვილები, მაგრამ დიდი სითბო, სიყვარული და სიამოვნებაა. დაირღვა ჩვენი ოჯახის რვაწლიანი დუმილი და ახლა ჩვენი სახლიდან სულ ჟრიამული და ბავშვების წივილ-კივილი ისმის – გვეუბნება ნათია.

ეს სურათი ოჯახმა იმ ბედნიერ დღეს გადაიღო, როდესაც გიორგი პატრიარქმა მონათლა. ახლა ის უკვე სამი წლის ხდება.

– ნათია, კიდევ თუ ფიქრობ შვილის ყოლას?

– ჩემი ბიოლოგიური მდგომარეობის გამო ფეხმძიმობა და მშობიარობა საშიშია, გიორგიზე ფეხმძიმედ რომ ვიყავი, ექიმები შეწყვეტას მთავაზობდნენ, მაგრამ გავრისკე. მადლობა უფალს, ყველაფერი კეთილად დამთავრდა, მაგრამ, კიდევ თუ დავდგები ასეთი არჩევანის წინაშე, არ ვიცი, რას ვიზამ, გავრისკავ თუ არა.

ოჯახის პირველი სიხარული – მარიამი უკვე სკოლაში დადის. ის საპატრიარქოს სკოლის II-ე კლასის მოსწავლეა. კარგად სწავლობს. მომავალ სასწავლო წელს ანდრიაც წავა სკოლაში.ნათია მთელ თავის პედაგოგიურ განათლებას და ენერგიას შვილების აღზრდაში დებს. ის არ მუშაობს. ოჯახის ეკონომიკური უზრუნველყოფა ვახოს აკისრია. მათ საკუთრებაში რაიმე ქონება, რომელიც შემოსავალს მისცემთ, არ არსებობს. ამიტომ, ვახოს სხვადასხვა სამუშაოს ძებნა უწევს სამი შვილის სარჩენად. ერთგული, შრომისმოყვარე და ხელმარჯვე ახალგაზრდაა. ევროკავშირის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლამ ვახოს ახალი შესაძლებლობა მისცა. ის ინტერნეტის საშუალებით პოლონეთში ერთ-ერთ ფირმას დაუკავშირდა. ეს საფოსტო გზავნილებათა სამსახურია. შეთანხმდნენ დროებით სამსახურზე და ვახოც პოლონეთში გაემგზავრა. მართალია, ძალიან მაღალი ანაზღაურება არ აქვს, მაგრამ ოჯახის საარსებო უზრუნველყოფას ახერხებს. ვახომ იცის, რომ ვიზიტის ფორმატი არ უნდა დაარღვიოს, ის კანონმორჩილი მოქალაქეა, ამიტომ, სამთვიანი ვადის გასვლისთანავე დაბრუნდება. პატარა მარიამმა კალენდარზე 24 მარტი უკვე შემოხაზა, ისინი მოუთმენლად, დიდი სიყვარულით ელოდებიან ოჯახის უფროსის დაბრუნებას. ვახტანგის სამომავლო გეგმები კი იმაზეა დამოკიდებული, აქ, საკუთარ ქვეყანაში, დასაქმდება თუ სამი თვის შემდეგ ისევ უცხო ქვეყანაში დაბრუნდება და ოჯახის დატოვება მოუწევს.

– ნათია, რაიმე დახმარება ან შეღავათი თუ გაქვთ?

– არა, ფინანსურ დახმარებას არ ვღებულობთ. მარიამის სწავლის გადასახადს ჩვეულებრივ ვიხდი, მაგრამ სექტემბერში ანდრიას რომ მივიყვან სკოლაში, მას 50%-იანი შეღავათი ექნება. ესეც კარგია.

– გიორგი თქვენი მესამე შვილია, პატრიარქმა ხომ არ მონათლა?

– დიახ, გიორგი პატრიარქის ნათლულია და ეს ჩვენთვის დიდი სიხარული და ბედნიერებაა. ნათლობის დღე ჩვენთვის დაუვიწყარია. მთელი ოჯახი იქ ვიყავით და მივიღეთ ის მადლი, რასაც პატრიარქის დალოცვა ჰქვია.

– ნათია, შენი სამივე შვილი №3 საბავშვო ბაღის აღსაზრდელები არიან. როგორი კმაყოფილი ხარ?

– ის რომ ბავშვები ბაღის მომსახურებით სარგებლობენ, ოჯახისთვის დიდი შეღავათია. ჯერ ერთი, გადასახადს არ ვიხდით, მეორეც, კვების რაციონი ისეთი კარგია, რომ ბევრს ოჯახში გაუჭირდება ასეთი კვებით უზრუნველყოს შვილები. ახლა ბანანი და ყვავილოვანი კომბოსტო დაუმატეს. რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ. ამასთან, ბაღში სისუფთავე და ყველანაირი კომფორტია. ზამთარში კარგი გათბობაა, ზაფხულში კი ისედაც გამწვანებული და სასიამოვნო ეზოთი სარგებლობას დაემატა ბაღის გვერდზე გასულ წელს გახსნილი ბავშვთა გასართობი მოედანი, სადაც ბევრი კარგი გასართობია დამონტაჟებული.თუმცა, ამბობენ, სამომავლოდ ბაღის ეზოშიც დამონტაჟდება სპორტულ;ი და გასართობი დანადგარებიო. ბაღის პერსონალიც კვალიფიციური და ყურადღებიანია. ასე რომ, სრულიად დამაკმაყოფილებელია ჩემთვის, როგორც მშობლისთვის, ბაღის მომსახურება. მადლობა ყველას, ვინც ასე ზრუნავს ჩვენი შვილების მომავლისათვის.

– გაზაფხული დადგა, მარტის ლამაზი დღესასწაულები კარზე მოგვადგა. რას უსურვებ ქალბატონებს?

– პირველ რიგში, მინდა, ვისურვო ქვეყანაში მშვიდობა, ეკონომიკური წინსვლა, გამთლიანება. ეს საქართველოს ყველა მოქალაქის დიდი სურვილია. რაც შეეხება ქალბატონებს, ჯანმრთელობა, სიცოცხლე, სიხარული და წრფელი სიყვარული მინდა ვუსურვო. ყველა ქალი პოტენციური დედაა, მინდა, ყველამ გამოსცადოს ეს დიდი ბედნიერება, მათ კი, ვისაც აქვს ოჯახი და ჯერ შვილი არ ჰყავს, მოვუწოდებ: – არ დაკარგონ იმედი, უფალი მოწყალეა, აუცილებლად გაუმართლებთ. მედიცინამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ უშვილობა დღეს დაუძლეველი პრობლემა აღარ არის. ერთი კი აღსანიშნავია, რომ ამ კუთხით სახელმწიფომ რაიმე შეღავათები და დახმარება უნდა დააწესოს. ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული გასაჭირი ყველამ უნდა გაითავისოს. ნუ მოვიმიზეზებთ ეკონომიკურ სიდუხჭირეს, ახალგაზრდებმა შექმნან ოჯახები და გავამრავლოთ ერი. ნუ შეგვეშინდება, უფალი თავის გაჩენილს დაარჩენს კიდეც.

– შენც ბედნიერებას და შვილებთან გახარებას გისურვებთ, ნათია. გილოცავთ დედის დღეს!

ნაირა გორაშვილი

საგაზაფხულო კონკურსების სეზონი გაიხსნა

2018 წლის 1 მარტს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა ინტელექტუალური კონკურსი მეხუთე და მეექვსე კლასელებისთვის. კონკურსში მონაწილეობდნენ: №1 საჯარო სკოლის, №2 საჯარო სკოლის, ხორნაბუჯის, სამრეკლოს და წმ. მეფე ვახტანგ გორგასლის სკოლის მოსწავლეები. კონკურსის წამყვანი და ორგანიზატორი გახლდათ თამარ აბულაძე. ამჯერადაც სამ ეტაპად გაიმართა პაექრობა სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებს შორის. კითხვები ფასდებოდა შესაბამისი ქულებით, რომელსაც აფასებდა ჟიური შემდეგი შემადგენლობით: საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ეთერ ზურიკაშვილი, განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის წარმომადგენლები-ია ბუნტური და ნანული ნატროშვილი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი თამარ ლაპიაშვილი და პედაგოგი მაყვალა მაძღარაშვილი.

ინტელექტუალურ კონკურს „მწიგნობარის“ გამარჯვებული გახდა წმ. მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის გუნდი „გორგასალი“, მეორე ადგილი გაინაწილეს №1 საჯარო სკოლის გუნდმა „№1“ და სამრეკლოს გუნდმა „ვარსკვლავები“. გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ სიგელები, ხოლო დანარჩენ მონაწილეებს მადლობის ფურცლები . დასანანი იყო, რომ ზოგიერთ გუნდს დირექტორი და პედაგოგები გულშემატკივრობდნენ, ზოგს კი არავინ არ ახლდა, რომ ბავშვებს უფრო მხნედ ეგრძნოთ თავი.

დასასრულს, ღონისძიების წამყვანმა თამარ აბულაძემ მადლობა გადაუხადა მოსწავლეებს და მოწვეულ სტუმრებს კონკურსში მონაწილეობისათვის, კიდევ ერთხელ ესაუბრა ბავშვებს ასეთი კონკურსების ჩატარების მნიშვნელობაზე და ხაზი გაუსვა, თუ რამდენად დადებითად აისახება თითოეულ მოსწავლეზე ასეთი კულტურულ-საგანმანათლებლო შეხვედრები.

ელზა ხარაშვილი

თითოეული რეფორმა იმისკენაა მიმართული, რომ კითხვის ნიშნები, რაც შს სამინისტროსთან მიმართებაში დღეს არსებობს, ხვალ აღარ იყოს

(მეორე გვერდიდან)

მიმდინარეობს იმისთვის, რომ დღეს თუ ეს კამერები გაცილებით ნაკლები დროით იწერს, ხვალ უფრო მეტი დროით ჩაიწეროს და მოქალაქესა და პატრულ-ინსპექტორს შორის კომუნიკაცია მაქსიმალურად დაფიქსირდეს. ეს შედის როგორც მოქალაქის, ასევე პატრულ-ინსპექტორის ინტერესებში, რადგან ზოგჯერ, მაშინაც კი, როცა საპატრულო პოლიციის თანამშრომელს ბრალი არ მიუძღვის და უფლებამოსილების გადამეტებას არ აქვს ადგილი, მუდმივად თავდაცვის რეჟიმში ყოფნა და რაღაცების ახსნა უწევს.

- შსს-ს კადრების მთავარი შემქმნელი არის პოლიციის აკადემია, რომლის რეფორმირებაც ასევე დაანონსდა ახალი ხელმძღვანელობის მიერ. საუბარი იყო რომ აკადემია გადაიქცა უმაღლესი განათლების დაწესებულებად და რომელიც პოლიციელების გარდა, იურისტებსაც ზრდის. რას გეგმავთ აკადემიის რეფორმირების მხრივ?

- სამინისტროს აქვს ძალიან დიდი რესურსები იმისთვის, რომ მოამზადოს კვალიფიციური კადრები. უწყებაში მოსვლის შემდეგ პირველი რაც გავაკეთეთ, შევაფასეთ რესურსები, გავაანალიზეთ ის და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ აკადემია აღარ იყოს უმაღლესი განათლების პროვაიდერი. შესაბამისად, ის რესურსები, რომელიც გაგვაჩნია, გვინდა მთლიანად პროფესიულ განათლებას მოვახმაროთ, ვინაიდან დღეს, ამის გაცილებით მეტი საჭიროება არსებობს. გამომძიებლები, რომლებიც გვყავს, ძალიან ბევრი მიმართულებით საჭიროებენ გადამზადებას. გარდა ამისა, აკადემია უნდა იყოს ერთგვარი კარი, საიდანაც კვალიფიციური კადრები სისტემაში შემოვლენ და ეს სისტემაში მოხვედრის ერთადერთი გზა უნდა იყოს.

- ანუ აკადემიას თუ არ დაამთავრებ, სისტემაში ვერ მოხვდები?

- ვერა! იცვლება ასევე მიღების წესი, რომელიც დღეს არც თუ ისე ეფექტურია. ჩვენ გვინდა, რომ სამინისტროში მოხვდნენ უნივერსიტეტდამთავრებული, კფალიფიციური კადრები, სტაჟირების გზით. ამ ადამიანებს მოუნევთ საკმაოდ რთული კონკურსის გავლა, გაცილებით მაღალ მოთხოვნებს წავუყენებთ მათ და სტაჟირების გზით მივიღებთ მათ პოლიციაში. სტაჟირების წარმატებით გავლის შემდეგ კი ისინი დაინიშნებიან შესაბამის თანამდებობებზე და რაც მთავარია: ე.წ. საგამონაკლისო წესი, რომელიც წლების განმავლობაში სამინისტროში არსებობდა, საერთოდ გაუქმდება. საგამონაკლისო წესით ხალხის მიღება აღარ მოხდება და ერთადერთი გზა აქ მოხვედრის იქნება შსს-ს აკადემია.

- ერთ-ერთი მთავარი და მასშტაბური პრობლემა, რაც ბოლო პერიოდში ფიქსირდება, ეს არის არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაული. განსაკუთრებით გახშირდა 14 წლის მიუღწეველი პირების მიერ დანაშაულის ჩადენა და არსებობს საზოგადოებაში საკმაოდ საფუძვლიანი შაულის ჩადენა და არსებობს საზოგადოებაში საკმაოდ საფუძვლიანი ვარაუდი და ეჭვები, რომ ამ ბავშვებს, გარკვეული კრიმინალური წრეები იყენებენ, მართავენ და იმ ბავშვების გამოყენებით ჩადიან დანაშაულს, რომლებზეც სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ ვრცელდება. შსს-ს, ალბათ, უჭირს ასეთ ფაქტებზე რეაგირება. ამ გამოწვევის საპასუხოდ რეაგირების რა მექანიზმებზე მიდის მუშაობა?

- ამ მიმართულებით გვაქვს ასეთი ვითარება. დღეს 14 წლამდე პირი სისხლის სამართლის წესით არ ისჯება. რომც დავადგინოთ 14 წლამდე პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი, მის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივ დევნას პროკურატურა ვერ დაიწყებს. ახლა რა უნდა შევთავაზოთ საზოგადოებას ამის ალტერნატივად?! ჩვენი პოზიციაა, რომ ამის ალტერნატივად საზოგადოებას არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევთავაზოთ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის დაწევა. ერთი პერიოდი ასაკი დაწეული იყო და ამან არ იმუშავა. ეს მოზარდები საჭიროებენ რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და სხვაგვარი ტიპის რეაგირებას, ვიდრე მათ მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელებაა. 14 წლამდე მოზარდებში დანაშაული მცირედით მომატებულია საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ანუ ეს მოზარდები უფრო ხშირად ჩადიან მაგალითად, ქურდობას და ნაკლებად ძალადობრივ დანაშაულს.

რაც შეეხება მათ მართულობას, ჩვენმა ანალიტიკოსებმა რაც დაადგინეს არის ის, რომ დანაშაულის ჩამდენ 14 წლამდე მოზარდებს, კავშირი აქვთ 14-დან 18 წლამდე არასრულწლოვნებთან. სრული სურათის მისაღებად საკითხის შესწავლა ისევ მიმდინარეობს, თუმცა ამ ეტაპზე დადგენილი გვაქვს, რომ დანაშაულის ჩამდენ 14 წლამდე მოზარდებს, დანაშაულებრივი კავშირი ასევე14-დან 18 წლამდე არასრულწლოვნებთან აქვთ, რომლებმაც, თავის მხრივ, იციან, რომ ამ ბავშვებს არავითარი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრებათ.

სახელმწიფო ამ პრობლემის მოგვარებისთვის კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას გეგმავს. ეს მხოლოდ და მხოლოდ შსს-ს პრობლემა არაა. ძალიან კომპლექსური ღონისძიებებია გასატარებელი, რაც უკვე დავიწყეთ. შექმნილია სპეციალური უწყებათაშორისი ჯგუფი, რომელიც ამ მიმართულებით მუშაობს. უკვე დაგეგმილია ამ ჯგუფის მესამე შეხვედრა, სადაც სახელმწიფო უწყებებმა თავიანთი ხედვები უნდა წარმოადგინონ.

დღეს პრობლემა არის რეფერირების მექანიზმი, ვინაიდან ის ცუდად მუშაობს. კერძოდ: 14 წლამდე მოზარდის მიერ დანაშაულის ჩადენის აღმოჩენის შემდეგ, გამოძიება წყდება და მორჩა! წერტილი! იმის იქით ამ ბავშვის რაიმე სარეაბილიტაციო პროგრამაში გადამისამართება არ ხდება, რომ მოხდეს მისი რესოციალიზაცია. დღეს ასევე არსებობს სპეციალური პანსიონატი სამტრედიაში და პრაქტიკა აჩვენებს, რომ აქ გადამისამართების მექანიზმი დასახვეწია. აქედან გამომდინარე, ყველანი ერთად ვმუშაობთ იმაზე, რომ ავაწყოთ რაღაც ჯაჭვი, რომელიც იმუშავებს ორი მიმართულებით. ერთი - სანამ არასრულწლოვანი დანაშაულს ჩაიდენს მანამდე მოხდება დანაშაულის პრევენცია და მეორე - როდესაც დანაშაულს ჩაიდენს და არ დაეკისრება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, მაგრამ დაეკისრება პასუხისმგებლობის ალტენატიული ზომები, როგორიც იქნება მაგალითად, საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვა და მათზე დასწრება, სპორტულ-გამაჯანსაღებელ პროგრამებში მონაწილეობა და სხვა, რაც მთლიანად არასრულწლოვნის რესოციალიზაციარეაბილიტაციისკენ იქნება მიმართული. ვფიქრობთ, ეს გარკვეულწილად ამ პრობლემას მოაგვარებს, ვინაიდან კანონის გამკაცრება გამოსავალი არაა.

- ერთ-ერთი საჯარო გამოსვლისას თქვენ ისაუბრეთ მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის შექმნაზეც. რამდენად იქნება მართლწესრიგის ოფიცერი სახეცვლილი უბნის ინსპექტორი?

- ამ ოფიცრის როლი არის ძალიან მნიშვნელოვანი. ეს კრიმინალური პოლიციის რეფორმის ნაწილია. კრიმინალურ პოლიციაში დღეს არის ასეთი ვითარება - გვყავს უბნის ინსპექტორები, გამომძიებლები და ოპერატიული მუშაკები. დღეს ყველა აკეთებს ყველაფერს. უბნის ინსპექტორი, რომლის ძირითადი ფუნქცია პრევენციაა - საქმეს იძიებს; ოპერატიულმა მუშაკმაც შეიძლება საქმე გამოიძიოს, გამომძიებელმა კი იმავდროულად ოპერატიული ფუნქციები შეასრულოს და ა.შ. ეს ყველაფერი გამოძიების ეფექტიანობაზე როგორ აისახება ყველა კარგად ვხედავთ. შესაბამისად, ჩვენ გადავწყვიტეთ, ფუნქციები ერთმანეთისგან მკაფიოდ გავმიჯნოთ და პირველი ეტაპი, რაზეც მუშაობა დავიწყეთ, მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის შემოღებაა. ეს ოფიცრები იქნებიან დღევანდელი უბნის ინსპექტორები, თუმცა ოდნავ სახეშეცვლილი ფორმით. მათი ფუნქცია არ იქნება გამოძიება. ამ ადამიანებს არ ექნებათ ოპერატიული ფუნქცია, ანუ მარტივად რომ ვთქვა, ღამეს არ გაათენებენ და მთლიანად ორიენტირებული იქნებიან დანაშაულის პრევენციაზე, მოქალაქეებთან ურთიერთობაზე, ინფორმაციის შეგროვებაზე, რისკ-ჯგუფების გამოვლენაზე. მართლწესრიგის ოფიცრები იმუშავებენ არასრულწლოვნებთან, ოჯახში ძალადობის მსხვერპლებთან, ეცოდინებათ მათ სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობა და სრული სურათი, რაც ჩვენ დაგვეხმარება იმაში, რომ დანაშაულის პრევენციის პროცესში, გაცილებით უფრო ეფექტურები ვიყოთ.

მართლწესრიგის ოფიცრები იქნებიან კრიმინალური პოლიციის ქოლგის ქვეშ და, რა თქმა უნდა, ითანამშრომლებენ გამომძიებელთან და ოპერატიულ მუშაკებთანაც. ისინი იქნებიან ინფორმაციის მომწოდებლები, რომელიც დამუშავდება და პრაქტიკაში რეალიზება მოხდება. რაც მთავარია, ეს ხალხი ჩვენ უნდა დაგვეხმაროს იმაში, რომ საზოგადოებასა და პოლიციას შორის აღდგეს ნდობა. ამ ადამიანებს სპეციალური გადამზადება ექნებათ გავლილი.

მართლწესრიგის ოფიცრებს ჩვენ კონკურსის წესით მივიღებთ. კადრებს ვარჩევთ როგორც სისტემის შიგნით, ისე გარეთაც. სისტემის შიგნით შერჩევა, პრაქტიკულად, დასრულებულია, რის შემდეგაც უკვე გამოვაცხადებთ კონკურსს, რომ ვისაც სურვილი ექნება, საბუთები შემოიტანოს.

- საქართველოში ცივი იარაღის რეალიზაცია საკმაოდ უკონტროლოა. იგეგმება გარკვეული შეზღუდვების დაწესება ამ მხრივ, თუმცა საინტერესოა, რეალიზაციაზე შეზღუდვების დაწესების გარდა, როგორი იქნება კონტროლის მექანიზმები?

- კანონპროექტი ამ მიმართულებით უკვე მომზადებული გვაქვს და ალბათ, კვირის ბოლოს, მთავრობის სხდომაზე მოხდება მისი ინიცირება. დღეს ცივი იარაღის ყიდვა-გაყიდვა არ არის რეგულირებადი და ჩვენ გვინდა, რომ ის რეგულაციებში მოვაქცეიოთ. გსურს მაგალითად, კანონმა განსაზღვროს, ვის არ შეიძლება მივყიდოთ ცივი იარაღი და ეწეროს, რომ არასრულწლოვნებს, ნასამართლევ პირებს, არ შეიძლება მივყიდოთ ცივი იარაღი. არსებული კანონმდებლობის გამკაცრების გარდა, გვინდა დავხვეწოთ აღსრულების მექანიზმები. კანონის ცვლილება საბოლოო ჯამში, მიზნად ისახავს, რომ ცივი იარაღის აბსოლუტურად უკონტროლო ბრუნვის პრობლემა მოგვარდეს, რათა ეს იარაღი არ მოხვდეს არასრულწლოვნების, ან სხვა რისკ-ჯგუფების ხელში, რასაც მერე, საბოლოო ჯამში, მივყავართ, დაჭრამდე და დანაშაულის ჩადენამდე.

- ანუ ბაზრობებზე არსებული ე.წ. დახლები, სადაც ნებისმიერს შეუძლია ცივი იარაღის შეძენა, აღარ იარსებებს...

- ამას ვებრძვით ამ კანონპროექტით. კანონით დაწესებულ პირობებს ვინც დააკმაყოფილებს, მხოლოდ მას მიეცემა რეალიზაციის საშუალება. ასევე ვფიქრობთ განისაზღვროს კონკრეტული ადგილები, სადაც ცივი იარაღი გაიყიდება და არა ყველგან, სადაც არასრულწლოვნისთვის მარტივად ხელმისაწვდომი იქნება, მაგალითად, მინისქვეშა გადასასვლელში, სადაც დახლზე აწყვია, ვიღაც მიდის და 5 ლარად ყიდულობს.

- რაც შეეხება კანონის აღსრულებას, რეგულაციების შესრულებას ვინ გააკონტროლებს?

- აღსრულებაც უნდა გაკონტროლდეს, რა თქმა უნდა. დატვირთვიდან გამომდინარე გადაწყდება, თუ ვისზე იქნება გადაცემული კონტროლი აღსრულებაზე. ალბათ, უფრო საპატრულო პოლიციაზე, თუმცა ამ ეტაპზე ესეც გადასაწყვეტი საკითხია. მთავარია ის, რომ პრობლემა დანახული გვაქვს და ამას ვაკეთებთ.

- წინა ხელმძღვანელობის პირობებში საპატრულო პოლიციის განტვირთვის მიზნით დაიწყო გარკვეული რეფორმების განხორციელება. მათ მიერ დანერგილი სიახლეები რამდენად გაგრძელდება და მოხდება თუ არა ამ მხრივ ცვლილებები? გაგრძელდება თუ არა იგივე ე.წ. ჭკვიანი კამერების დაყენება?

- იმას, რასაც საგზაო უსაფრთხოების მიმართულებით წინა ხელმძღვანელობის დროს დაიწყო, ვაგრძელებთ აბსოლუტურად ყველაფერს, რადგან საკმაოდ კარგი ნაბიჯები გადაიდგა ბევრი მიმართულებით. ახლა ვახდენთ შესწავლას დამატებით სად, რამდენი კამერაა კიდევ აუცილებელი, რომ დავამონტაჟოთ. ზოგადად კამერების შესყიდვის პროცესი ეტაპობრივად მიმდინარეობს, ვინაიდან მათ შესყიდვას ვახდენთ ძალიან ბევრი მიზნისთვის. საუბარია არამხოლოდ ე.წ. ჭკვიან კამერებზე, არამედ სამხრე კამერებზეც, ასევე კამერებზე დროებითი მოთავსების იზოლატორისთვის. ეტაპობრივად, პრორიტეტების მიხედვით ვახდენთ ამ ტექნოლოგიების გაუმჯობესებას.

- რაც შეეხება "კანონიერ ქუდებთან" დაკავშირებულ კანონპროექტს, თუ არის უკვე განსაზღვრული, რა სანქციებზეა საუბარი და ახალი კანონპროექტით ვის წინააღმდეგ დაიწყება სისხლის სამართლებრივი დევნა?

- ამ მხრივ კანონი ძალიან გავამკაცრეთ. კერძოდ, "ქურდული სამყაროს" წევრობასა და "კანონიერ ქურდობაზე" დაწესებული სანქციები „ზემოთ ავწიეთ". გარდა ამისა, სისხლის სამართლის წესით დასჯადი გახდება მთელი რიგი ქმედებები. მაგალითად: თქვენ რომ დღეს მიმართოთ "კანონიერ ქურდს" ან "ქურდული სამყაროს" წევრს რაღაც საკითხის მოსაგვარებლად ან დავის გადასაწყვეტად, მოქმედი კანონით თქვენ დღეს არ დაისჯებით სისხლის სამართლის წესით. ხვალ კი, როცა ეს კანონი ძალაში შევა, ეს ქმედება დასჯადი გახდება.

ჩვენ მიერ მომზადებული პროექტით დღეს თუ "ქურდული სამყაროს" წევრობა 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება, ხვალ ეს დანაშაული 7-დან 10 წლამდე პატიმრობას გაითვალისწინებს. კანონიერი ქურდობა კი დღეს არსებული 7-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთიდან, აიწევა 9-დან 15 წლამდე.

რაც შეეხება ახალ დანაშაულებს, ქურდული შეკრების ორგანიზება ან მასში მონაწილეობა 9-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთით დაისჯება; ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერა ნებისმიერი ფორმით- პირველი ნაწილი გაითვალისწინებს 3-დან 6 წლამდე, მეორე ნაწილი კი 4-დან 7 წლამდე პატიმრობას; ასევე ქურდული სამყაროს წევრისთვის ან "კანონიერი ქურდისთვის" მიმართვა, რაც ასევე ორნაწილიანი მუხლია - პირველი ნაწილი ისჯება 3-დან 7 წლამდე პატიმრობით, მეორე ნაწილი კი 4-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთით. ყველა ეს მუხლი არის მძიმე კატეგორიის დანაშაული.

- ერთია, რამდენად მკაცრია კანონი და მეორეა, რამდენად ახერხებს პროკურატურა ამა თუ იმ ბრალდებულის ბრალეულობის დადასტურებას. 2017 წლის სტატისტიკის თანახმად, საკმაოდ ბევრი საქმე იყო, რომელიც სასამართლომ კანონიერ ქურდობაში ბრალდებულების სასარგებლოდ გადაწყვიტა და გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა. აქედან გამომდინარე, ოპერატიული ღონისძებების მიმართულებით თუ იგეგმება რაიმე ცვლილებები, რათა ამა თუ იმ პირის ბრალეულობის დამადასტურებელი ისეთი მტკიცებულებები შეგროვდეს, რომელიც სასამართლოსთვის საკმარისი იქნება, რათა საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანოს?

- გეტყვით რაში იყო პრობლემა და რატომ დგებოდა ასეთ საქმეებზე გამამართლებელი განაჩენები. ცვლილებები მხოლოდ „სისხლის სამართლის კოდექსში" არ შედის. იცვლება „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ" კანონიც. მაგალითად, პასიური წევრობა აქამდე დასჯადი არ იყო. ჩვენ პასიურ წევრობასაც დასჯადად ვაცხადებთ, რაც მტკიცების პროცესს გვიმარტივებს და მეორე „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ" კანონით, დღეს აუცილებელია იმის დამტკიცება, რომ ეს ადამიანები გარკვეული წესების მიხედვით მოქმედებენ და ეს წესები რა არის არსად არ ეწერა. შესაბამისად, ამ მხრივაც მდგომარეობა გავამარტივეთ, რათა მტკიცების პროცესი შედარებით მარტივი გახდეს და ეს ჩანაწერი საერთოდ ამოვიღეთ კანონიდან. შესაბამისად, ის პრობლემები, რაც გუშინ სირთულეებს გვიქმნიდა და სასამართლოში გამამართლებელი განაჩენების გამოტანას იწვევდა, აღმოვფხვერით.

- დღევანდელ რეალობაში კანონიერ ქურდობაში ბრალდებულები საკმაოდ კარგად იყენებენ დუმილის უფლებას და შესაბამისად, არაა ხშირი, როდესაც დაკავებული პირდაპირ ამბობს, რომ ის ქურდია. იქნება თუ არა ასეთი პირების დაკავების საფუძველი ის, რომ ესა თუ ის ადამიანი საზოგადოებაში ცნობილია, როგორც "კანონიერი ქურდი"?

- ეს შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც მტკიცებულება. ამას გვერდს ვერ ავუვლით და მტკიცებულებად აუცილებლად გამოვიყენებთ.

- რაც შეეხება საზოგადოებისთვის კიდევ ერთ საინტერესო და აქტუალურ თემას - ვიზალიბერალიზაციას და ამ კონტექსტში ქართველების მიერ უცხოეთში დანაშაულის ჩადენის გახშირებულ ტენდენციებს, რაზეც საკმაოდ დიდი აჟიოტაჟია ატეხილი. რამდენად იძლევა შეშფოთების საფუძველს ქართველების მიერ უცხოეთის ქვეყნებში დანაშაულის ჩადენის სიმრავლე, თუ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიტუაცია გაზვიადებულია?

- წინა კვირას შს მინისტრის მოადგილე იმყოფებოდა გერმანიასა და ავსტრიაში, შეხვდა იქ შესაბამისი თანამდებობის პირებს. ამ ფორმატში განვიხილეთ ორმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივები, არსებული მდგომარეობა და როგორ უნდა გავაგრძელოთ მუშაობა ხვალ. საუბარი შეეხო ასევე ორ მიმართულებას. ერთი - როგორია მდგომარეობა, ქართველების მიერ ჩადენილი დანაშაულების მხრივ უცხოეთში, ამ კონკრეტულ შემთხვევაში გერმანიაში და მეორე - თავშესაფრის მაძიებელთა საკითხი. ორივე მიმართულებით გარკვეული ზრდა შეინიშნება, თუმცა საგანგაშო და საპანიკო არ არის.

სხვა მხრივ ქვეყნებს შორის მუშაობა მიმდინარეობს, მათ შორის ოპერატიულ დონეზე და იქ, სადაც საჭიროა და ითხოვენ ეს ქვეყნები, ჩვენი პოლიციის თანამშრომლები ჩადიან ადგილზე და შესაბამის ღონისძიებებში იღებენ მონაწილეობას. ასევე მიმდინარეობს მუშაობა იმ მიმართულებითაც, რომ ერთხელ გამოძევებული ადამიანები, ხელმეორედ ვეღარ მოხვდნენ უცხოეთში გვარის შეცვლის გზით და ამაზე სახელმწიფომ დაანონსა შესაბამისი რეფორმა. ჩვენი ატაშეებიც ინტენსიურად მუშაობენ.

- უცხოეთში ქართული კრიმინალური დავჯგუფების წინააღმდეგ საბრძოლველად, წინა ხელმძღვანელობის დროს დაგეგმილი იყო ფარული პოლიციელების შექმნა და გაგზავნა კონკრეტულ ქვეყნებში. ამ მხრივ თუ არის რაიმე სიახლე? არის თუ არა კონკრეტული ქვეყნები გამოვლენილი, სადაც საჭიროა ფარული პოლიციელების გაგზავნა და თუ არის საუბარი პოლიციელების რაოდენობაზე?

- ფარულ პოლიციელებთან დაკავშირებით კანონპროექტი მომზადებულია, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით გარკვეულ დეტალებს ვაზუსტებთ და ვაპირებთ ამ თემის დაძვრას. ეს კანონპროექტი მომზადდა ერთ-ერთი ქვეყნის მოთხოვნის საფუძველზე. ეს არის ერთ-ერთი ის თემა, რომელზე მუშაობაც წინა ხელმძღვანელობამ დაიწყო და ჩვენ არ ვაპირებთ, რომ გავჩერდეთ. ამ საკითხზე მუშაობა აუცილებლად გაგრძელდება.

- უვიზო რეჟიმის პირობების დარღვევების ფაქტების გახშირების შემთხვევაში, განიხილებოდა სხვადასხვა მექანიზმი, რათა ევროპის ქვეყნებში დარჩენილი საქართველოს მოქალაქეები უკან დაბრუნებულიყვნენ. იყო საუბარი რუმინულ მოდელზეც, რომელიც საქართველოდან პოლიციელების გაგზავნას და ევროპის ქვეყნებში დარჩენილი ქართველების საკუთარი ძალებით მოძებნას ითვალისწინებდა. ხომ არ დადგა ამ თუ სხვა მექანიზმის ამოქმედების საჭიროება უვიზო რეჟიმის პირობების დამრღვევთა წინააღმდეგ?

- ქართველების გამოვლენას, ვინც იქ დანაშაულს ჩადიან, ან თავშესაფრის მაძიებლების გამოვლენას, ახორციელებს შესაბამისი ქვეყნის შესაბამისი სამსახური. თუ მოგვმართავენ (ორმხრივი თანამშრომლობა ოპერატიულ დონეზე ძალიან მჭიდრო გვაქვს, მათ შორის ატაშეების მეშვეობით), არანაირ პრობლემას, არც პრაქტიკულ დონეზე და არც საკანონმდებლო დონეზე, ეს არ წარმოადგენს. თუ რომელიმე ქვეყანა გვეტყვის, რომ ამ მიმართულებით, კონკრეტული დანაშაულების წინააღმდეგ ჩვენ გვჭირდება ქართველი სამართალდამცველების დახმარება, აქედან მათი წარგზავნა არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს.

- ქართული მართვის მოწმობების საერთაშორისო დონეზე აღიარებაზეც მინდა გკითხოთ. რამდენად რეალურია, რომ საქართველოში აღებულმა მართვის მოწმობებმა საერთაშორისო ძალა შეიძინოს? როგორც ცნობილია, ამ კუთხით უცხოეთის ქვეყნებთან კონკრეტული მოლაპარაკებები იგეგმებოდა.

- პროცედურები რამდენიმე ქვეყანასთან დაწყებული გვაქვს. ახლა ძალიან აქტიურ ფაზაში ვართ შესულები. რეალურად, ასოცირების შეთანხმების მიხედვით დრო გვაქვს 2018 წლის სექტემბრამდე. დროისთვის არ გადაგვიცილებია და ამ დროში აუცილებლად ჩავჯდებით. აქ მიდის ორი მიმართულებით მუშაობა. ერთი - მართვის მოწმობის გამოცდის რეალურ სივრცეში გადმოტანა და ამისთვის უკვე ინფრასტრუქტურის მოწყობა და მარშრუტების იდენტიფიცირება მიმდინარეობს და მეორე მიმართულება არის სწორედ ქართული მართვის მოწმობების უცხოეთში აღიარება. სამი ქვეყანა გვაქვს ახლა იდენტიფიცირებული, რომლებთანაც მუშაობა ინტენსიურად მიმდინარეობს. ესენია: ესპანეთი, იტალია და უკრაინა. ამ საკითხების მოგვარებისთვის გამოყოფილ ვადებში ვჯდებით.

პედაგოგთა ურთიერთთანამშრომლობა თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მიდგომების დანერგვაში

გასულ კვირას ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მეორე მუნიციპალურ კონფერენციაზე მიგვიწვიეს. კონფერენციის თემა გახლდათ „საუკეთესო პედაგოგიური პრაქტიკა და სწავლების თანამედროვე მიდგომები“. დღის წესრიგი ათი ნაწილისგან შედგებოდა და, ძირითადად, ხორნაბუჯის საჯარო სკოლის პედაგოგთა გამოსვლებს ეთმობოდა, იყვნენ ზემო და ქვემო ქედის პედაგოგებიც. აღნიშნული შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა პედაგოგიური გამოცდილების გაზიარება, მასწავლებელთა პროფესიული და პედაგოგიურ-პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება და პედაგოგთა მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა. შეხვედრა იმდენად საინტერესო და თბილ ვითარებაში ჩატარდა, რომ გულდაყვეტი იყო, მუნიციპალიტეტის უფრო მეტი საჯარო სკოლის პედაგოგები რომ არ მონაწილეობდნენ მასში. ღონისძიების ავტორი და სულისჩამდგმელი გახლდათ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი რუსუდან გონაშვილი, რომელსაც შესანიშნავად იცნობს ჩვენი მკითხველი მისი გამორჩეული პედაგოგიური პროფესიონალიზმით, თანამედროვე სწავლების მეთოდებით და ქვეყნის თუ საერთაშორისო მასშტაბით მიღებული წოდებებითა და ჯილდოებით.



კონფერენციაზე გამომსვლელმა პედაგოგებმა - რუსუდან გონაშვილმა, ჟანა ბაბაიანმა, ლელა ჯავაშვილმა, ქეთევან ტაველურაშვილმა, თამარ ხანიაშვილმა, ვიოლეტა დავთიანმა, მერი კობრიშვილმა , ნინო დევრისაშვილმა და მზევინარ წიკლაურმა ისაუბრეს და ყურადღება გაამახვილეს შემდეგ თემებზე:როგორ მიეცეს მობილურ ტელეფონებს სასარგებლო და გამოყენებითი დატვირთვა საგაკვეთილო პროცესში, ინკლუზიური განათლების პროცესში ბავშვთა ქცევისა და მართვის ნიუანსები, სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, გარემოს დაცვასა და გარემოში არსებული მწერებისა და ფრინველების დადებით ფაქტორები, ლირიკული პოეზიის გამარტივებულად სწავლება, რუსული ენის შესწავლის კუთხით მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ახალი მიდგომები ბიოლოგიაში.

კონფერენციის დასრულების შემდეგ რუსუდან გონაშვილი დაწვრილებით მოგვიყვა, თუ რა მიზნები ამოძრავებდა აღნიშნული ღონისძიების განხორციელებისას:

-„მასწავლებლების საქმიანობას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ყოველთვის.

მუდამ განხილვისა და კამათის საგანი იყო ჩვენი საგანმანათლებლო სისტემა და ის მუდმივი ცვლილება, რომლებიც სისტემაში ხორციელდებოდა. ალბათ, უამრავი პედაგოგი დამეთანხმება, რომ არასდროს ყოფილა ისე რთული ჩვენი პროფესიული საქმიანობის განხორციელება, როგორც დღეს. უამრავ მიზეზთაგან უმთავრესია მოსწავლე-მასწავლებლებში მოტივაციის დაქვეითება, რასაც ბევრი ფაქტორი უწყობს ხელს. მათ შორის ის, რომ ნაკლებად ხდება პედაგოგთა წარმატებულ საქმიანობაზე საუბარი, იშვიათად ინერება კარგ პედაგოგზე, ნაკლებად ეწევა პოპულარიზაცია პროფესიას, რაზეც ძალიან მწყდება გული. არასდროს ყოფილა ისე აუცილებელი საზოგადოების მხრიდან მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის პოზიტიური შეფასება, როგორც დღეს, რადგან ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია პოტენციური თუ მოქმედი მასწავლებლის მოტივირებისათვის.

ზოგადად, მასწავლებლები ინდივიდუალური მუშაობის მეთოდს ანიჭებენ უპირატესობას, თანამშრომლობაზე დაფუძნებული სწავლება კი ბევრად უკეთეს შედეგებს გვაძლევს. მე უამრავ უცხოელ კოლეგასთან მაქვს ურთიერთობა, საერთაშორისო საგანმანათლებლო ფორუმზე დღეების განმავლობაში მითანამშრომლია მათთან და ვიცი, რომ იქ მასწავლებლები ერთად გეგმავენ სასწავლო პროცესს, აკვირდებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, კრიტიკულ ანალიზს უკეთებენ ერთმანეთის პროფესიულ საქმიანობას.

კარგია, როდესაც მასწავლებელი პროფესიული განვითარების პროგრამებში იღებს მონაწილეობას, მაგრამ ეს ხშირად არ ხერხდება რიგი მიზეზების გამო, მუნიციპალიტეტის სკოლებს შორის ურთიერთთანამშრომლობითი პროფესიული ზრდის საშუალება კი უფრო ადვილია და ეს აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. ასეთი კონფერენციების მიზანია სკოლის მასწავლებლების მიერ გამოყენებული მეთოდებისა და სტრატეგიების შედარება, აგრეთვე იმის დადგენა, თუ რომელი მეთოდი თუ მიდგომაა ოპტიმალური კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფისათვის და ბევრი სხვა კიდევ.

ჩვენი კონფერენციის: „საუკეთესო პედაგოგიური პრაქტიკა და სწავლების თანამედროვე მიდგომები“ ძირითადი და მნიშვნელოვანი მიზანიც ის იყო, რომ შევხვედროდით მუნიციპალიტეტის პედაგოგები, გვესაუბრა მიღწეულსა და მისაღწევზე, გაგვეზიარებინა ერთმანეთის გამოცდილება, გაგვეუმჯობესებინა თანამშრომლობითი კულტურა, ადგილობრივ დონეზე დაგვენერგა საგანმანათლებლო ცვლილებები, რადგან იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს სწავლა, უნდა გაუმჯობესდეს სწავლება. იმისათვის, რომ მოსწავლემ უკეთ ისწავლოს, აუცილებელია, მასწავლებელმა ასწავლოს უკეთ.

არავისზე ნაკლები პედაგოგები არ ჰყავს ჩემს რაიონს, უამრავი წარმატებული პედაგოგი მუშაობს მუნიციპალიტეტის საჯარო თუ კერძო სკოლებში და ამ კონფერენციით მსურდა, საკუთარი გამოცდილება გაეზიარებინათ ერთმანეთისთვის და რეალურად ეთანამშრომლათ. ვფიქრობ, რომ მასწავლებელთა თანამშრომლობა ცალკეული პედაგოგის ან პედაგოგების ინიციატივა კი არ უნდა იყოს, არამედ სკოლებში უნდა დაინერგოს თანამშრომლობის პრაქტიკა, რომელსაც სკოლის ადმინისტრაცია დაუჭერს მხარს. სკოლებში მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბდეს თანამშრომლობის მიზნები, ერთობლივი მიზნების განსაზღვრის, კომუნიკაციისა და კოორდინაციის მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს პედაგოგთა პროფესიულ ზრდასა და ცოდნის გაღრმავებას.

ვთვლი, რომ საკმაოდ საინტერესო მოხსენებები იყო წარმოდგენილი კონფერენციაზე, რომლებიც შეირჩა წინასწარ დადგენილი და გასაჯაროებული შეფასების რუბრიკის მიხედვით. რაც შეეხება ამ კონფერენციაზე წარმოდგენილ ჩემს პრეზენტაციას: „ სწავლება მობილური ტელეფონებით“ , საკმაოდ აქტუალურად მიმაჩნია, რადგან საკლასო ოთახში ტელეფონიანი მოსწავლის დანახვა მასწავლებლის ნეგატიურ განწყობას იწვევს. მობილურების სწავლებაში გამოყენების საწინააღმდეგო მთავარ არგუმენტად ასახელებენ ამერიკელი მასწავლებლის Michael Soskil-ის მოსაზრებები(გარდა იმისა, რომ ეს ადამიანი ექსპერტ-პედაგოგია, ასევე დასახელებულია გასული წლის მსოფლიოს საუკეთესო სამ მასწავლებელს შორის) ამ საკითხზე.

ვფიქრობ, რომ ასეთი კონფერენციები ყოველწლიურად უნდა ჩატარდეს და რაც შეიძლება მეტმა პედაგოგმა მიიღოს მასში მონაწილეობა. ალბათ ყველა პედაგოგს გვქონია შემთხვევა, როდესაც სასწავლო პროცესში უიმედო მდგომარეობაში აღმოვჩენილვართ. გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ ნებისმიერი რთული მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალი მასწავლებელთა შორის თანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარება, ნდობა და ურთიერთპატივისცემაა.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მონაწილე პედაგოგებს აქტიურობისა და გამოცდილების გაზიარებისათვის, ასევე კონფერენციის ორგანიზებაში გაწეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდი დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს ეთერ ზურიკაშვილს, განსაკუთრებული მადლობა სსიპ

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის დირექტორს მამუკა ყავრელიშვილს, რომლის თანამედროვე ხედვა და მიდგომები, მჯერა, სასიკეთოდ წაადგება ჩემს სკოლას.“

კონფერენციას ესწრებოდა საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, ეთერ ზურიკაშვილი, რომელმაც აღფრთოვანება ვერ დაფარა აღნიშნული აქტივობის მიმართ და არაერთი მადლობა გადაუხადა მსვლელობისას, როგორც თითოეულ მონაწილე პედაგოგს, ასევე სკოლის ახლადდანიშნულ დირექტორს მამუკა ყავრელიშვილს:

-მინდა აღვნიშნო, რომ ქალბატონი რუსუდანი აქტიურად არის ჩართული თანამედროვე სწავლების მეთოდების გამოყენებასა და გაუმჯობესებაში. ეს მისი წარმოდგენილი თემიდანაც ჩანდა:“მობილური ტელეფონებით სწავლება“. მართლაც საინტერესო და გასაზიარებელია მისი მეთოდი. გამოცდილების გაზიარების მიზნით რუსუდანს იწვევენ საქართველოს ბევრ რეგიონსა თუ რაიონში. მეამაყება, რომ გვყავს ასეთი წარმატებული პედაგოგი. ეს კონფერენციაც ნათელი დადასტურებაა ამისი. 9 მასწავლებელმა წრმოადგინა ძალიან საინტერესო თემა, რომელიც ორიენტირებული იყო მოსწავლეთა ცოდნის ამაღლებასა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. კონფერენციის ჩატარება ერთი თვით ადრე იყო დაანონსებული. ვფიქრობდი, რომ ყველა სკოლის მასწავლებელი დაინტერესდებოდა, მაგრამ საკონფერენციო თემები ხორნაბუჯისა და ზემო და ქვემო ქედის პედაგოგებმა წარმოადგინეს. არადა, აუცილებელია, მასწავლებელი სულ ახლის ძიებაში იყოს, რომ სახალისო გახადოს სასწავლო პროცესი, ამაში კი სწორედ სხვა პედაგოგების გამოცდილება, თანამშრომლობა დაეხმარება მათ. იმედს ვიტოვებ, რომ შემდეგში უფრო აქტიურად ჩაერთვებიან ასეთ კონფერენციებსა თუ ღონისძიებებში ჩვენი მასწავლებლები, რომლებსაც არც გამოცდილება აკლიათ და არც განათლება.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ რუსუდანს ასეთი საინტერესო კონფერენციისათვის, თითოეულ მონაწილე პედაგოგს და ხორნაბუჯის სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს მამუკა ყავრელიშვილს იმისთვის, რომ ყველა პირობა შექმნა, რათა მაღალ დონეზე ჩატარებულიყო ეს კონფერენცია.

დასასრულს, რედაქციის სახელით, ღრმა პატივისცემა და სიყვარული მინდა გამოვხატო კონფერენციაში მონაწილე პედაგოგებისა და სკოლის დირექტორის მიმართ, იმ ძალიან საინტერესო და დღეს აქტუალური თემების განხილვისთვის, რომელიც წარმოდგენილი იყო, იმ ენთუზიაზმისა და პასუხისმგებლური დამოკიდებულებისთვის, რომელიც იქ მონაწილე პედაგოგებს გააჩნდათ.

მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

შირაქის სკივრი

1955 WLIS MARTI

● SIMTVRALIT TAVSEKAVEBIS UNARDAKARGULMA MOQALAQEEBMA V. VAJBEDASVILMA DA V. BEZOIANMA SAKOLMEURNEO BAZARSI SEQMNES DEBOSI, FIZIKURI SEURACXYOFAMIAYENES ERTMANETS. WITELWYAROS SAXALXO SASAMARTLOM GAARCIA MATI SAQME DA SAZOGADOEBRIVI WESIEREBIS DARRVEVISTVIS TITO WLIT PATIMROBA MIUSAJA. XOLO, 31 DEKEMBERS MTVRAL MDGOMAREOBASI MYOF M. PEREDELSKIS, ROMELMAC UXESAD DAARRVIA SOCIALISTURI TANACXOVREBIS WESI - ORI WLIT TAVISUFLEBIS ARKVETA MIESAJA. MAN SITYVIERI SEURACXYOFAMIAYENA WITELWYAROS RUSULI SASUALO SKOLIS ME-11 KLASIS MOSWAVLES.

● WINA KVIRAS IUMORISTULI LEQSIT CVENS GAZETSI GAKRITIKEBULI IYO WITELWYAROS ARTEL `SROMIS~ FEXSACMLIS SAXELOSNOS TANAMSROMLEBI: MOSESOVI, SAXNAZAROVI DA JALALOVI SAXELOSNOSIRVINIS XSIRAD SMIS GAMO. SARKASTULI LEQSI MAT SAQCIELS AMXELDA. PASUXAD GAMGEOBIS TAVMJDOMARE AMXANAGI BEGIASVILI GVAMCNOBS, ROM GAZETSI MOYVANILI FAQTEBI DADASTURDA. ARNISNUL XELOSNEBS GAMGEOBAM SATANADO SASJELI DAADO.

1960 WLIS MARTI

● SITYVA `MAMA~ RAMDEN SITBOS DA MZRUNVELOBAS GAMOXATAVS, MAGRAM ARTEM KUIMCIANI - AI IS MAMAA, ROMELIC `MOMTABAREOBS~ IM MIZEZIT, ROM DAEMALOS SVILIS SARCENI SAZRDOS GADAXDAS. WITELWYAROS RAIMILICIIS DA PROKURATURIS ORGANOEBMA MRAVALJER ARZRES SAKITXI AXALCIXIS MILICIIS WINASE, IM RAIONSI TAVSEFAREBULI KUIMCIANIS ARMOCENISA DA MISI MISAMARTIS GADMOGZAVNIS SESAXEB, MAGRAM AMAOD... ROGORC SARWMUNO CNOBEBIDAN IRKVEVA, NAMDVILAD AXALCIXIS RAIONIS DABA VALESI IMYOFEBA. AXALCIXIS MILICIIS GANYOFILEBIS MUSAKI, UFROSI LEITENANTI SARQISOVI KI IFICEBA, ROM KUIMCIANI QARELIS RAIONSI MUSAOBS, ROM AXLA MIWEBZEA WASULI. SAINTERESOA, RASI SWIRDEBA LEITENANT SARQISOVS DEZERTIRIS DAMALVA? AMJAMAD MESVIDE KLASSI VSWAVLO DA SASTIKAD VGRZNOB DAMCIREBAS, RADGAN AR VICNOB SAKUTAR MAMAS. MAS ARCTU AWUXEBS UCEMOBA. IQNEB GAMIWION DAXMAREBA DA SEMAXVEDRON GULQVA MAMACEMTAN. ME MISTVIS BEVRI RAM MAQVS SATQMELI,~ WERS VENERA KUIMCIANI, SOFEL JAFARIZIS SKOLIS MOSWAVLE.

● YVELA KINOS KARGI REKLAMA UTUOD SWIRDEBA - AFISEBIS SAXIT, MAGRAM RAICENTRIS KINOTEATRIS MUSAKEBI AFISAZE ARNISNAVEN MXOLOD KINOSURATIS SAXELWODEBAS DA SEANSIS DAWYEBIS VADAS. ASETI MARTIVI AFISEBI MAYUREBLIS MOTXOVNILEBAS AR AKMAYOFILEBEN. SAWIROA AFISEBS TAN ERTOS KINOPLAKATEBI, ARNISVNA, TU VISI NAWARMOEBIA FILMI, ROMELI WLIS GAMOSVEBAA DA SXV. ROM MAYUREBELS MIECES SRULI WARMODGENA SADEMONSTRACIO KINOFILMEBZE.

● SOFEL WITELWYAROSI MCXOVREBMA NIKOLOZ NIKONOVMA DA GENADI LAPATIM SARAMOS ARYIT SEZARXOSEBULEBMA GADAWYVITES VELISCIXELI KOLMEURNES GAZARCVA. IS WITELWYAROSI TAVISI SROMIT MONAGAR RVINOS YIDDA DA DROEBIT IQVE CXOVROBDA DAQIRAVEBUL BINASI. ERT ORROBESI SEBRUNDNEN DA SAXEZE FEXSACMLIS SAVI MAZI WAISVES. RAMIS 10 ST IQNEBODA, ROCA MERVINE GLEXMA LAMPAS DAUWIA DA DASAZINEBLAD MOEMZADA, KARZE KAKUNIC GAISMA. ISINI OTAXSI SEMOUSVA, MAT 1 LITRI ARAYI STXOVES. ERTMA LAMPA CAAQRO, MEOREM SAXESI JIBIS FARANI MIANATA, REVOLVERI MIUSVIRA DA UBRZANA RAC FULI GAQVS UXMOD MOGVECIO. JIBESI 82 MANETI ARMOACDA. BANDITEBMA JER WASVLA DAAPIRES, SEMDEG IFIQRES, ES RAS GVEYOFAO DA WINADADEBA MISCES, GAMOECINA NAVAWRI. SAWOLIDAN LOGINI GADMOYARES, SAFENIS QVESIDAN 80 MANETI AIRES DA MIIMALNEN. MOVAWREM IM WAMSVE RAIMILICIAS ACNOBA DA OPERATIULAD DAAKAVES. DANASAULSI GAMOTYDNEN DA MALE WARDGEBIAN SAXALXO SASAMARTLOS WINASE.

● `WITELWYARODAN ELDARSI MIMAVALI AVTOBUSI SUAGZASI DAZIANDA. MZROLI GAMVLEL AVTOMOBILS GAHYVA DAZIANEBULI NAWILIS MOSATANAD. AVTOBUSSI KI MGZAVREBI WUXDNEN, GANSAKUTREBIT BAVSVIANI MOQALAQEEBI SEWUXDNEN. COTA XANSI CVENTAN GADAXURULI AVTOMANQANA GACERDA DA MZROLMA SALVA JALIASVILMA ROCA SEITYO CVENI MDGOMAREOBA, YVELA MATGANI TAVIS MANQANASI GADAIYVANA DA DANISNULEBIS ADGILAMDE SWRAFAD MIIYVANA. BOLOS GASAMRJELOS AREBAZEC UARITQVA. MZROLIS ES SAQCIELI MADLIEREBAS IMSAXUREBS,~ - WEREN MGZAVREBI REDAQCIASI GAMOGZAVNIL WERILSI.

● WITELWYAROS SOFLIS KOOPERATIVIS GAMGEOBA DIDI RAODENOBIT USVEBS KOMERCIUL GAMOMCXVAR PURS, XOLO ZALZE ISVIATAD DA MCIRE RAODENOBIT USVEBENSER PURS. SAWIROA, ERTXEL DA SAMUDAMOD MOAGVARON ES SAKITXI ISE, ROM SAKMAO RAODENOBIT MIAWODON MOMXMAREBELS ARA KOMERCIULI, ARAMED KOOPERATIULI GAMOMCXVARI PURI.

● WELS SOFEL ARXILOSKALOSI GAIXSNA WRA-KERVIS SKOLA, ROMELSAC SAQMIS KARGI MCODNE ELENE GONASVILI XELMZRVANELOBS. GAXSNIS DRIDAN SKOLA NORMALURAD MUSAOBS. AQ GAERTIANEBULMA KOLMEUREEBMA UKVE DAAMTAVRES TEORIULI KURSI DA AXLA USUALOD GADIAN WRA-KERVIS PRAQTIKAS. KARGAD SWAVLOBENMARO SAQIZE, E. OGBAIZE DA SXVEBI.

1961 WLIS MARTI

● WITELWYAROS AVTOSATRANSPORTO KANTORA YURADREBAS AR AQCEVS AVTOBUSEBIS SADGURSA DA MISI EZOS KETILMOWYOBAS. AMIS SESAXEB CVENS FURCLEBZE VRCLAD VIUWYEBODIT. AXLA KI PASUXAD KANTORIS DIREQTORI AMXANAGI E. FICXELAURI GVWERS, ROM GAZETSI MOYVANILI FAQTEBI SWOREA. SADGURISA DA MISI EZOS KETILMOWYOBIS SAKITXI UKVE DAISVA SAMINISTROS WINASE DA TANXEBIS DASVEBISTANAVE SEVUDGEBIT MIS KETILMOWYOBAS.

● BORIS ARJANENKOS FOTO, ROMELIC ASAXAVS GAZAFXULIS ERT MSVENIER -SARAMOS DABA WITELWYAROSI. AMAYAD CAXCAXEBS WITELWYAROS QARTULI SKOLA DA DABIS MTAVARI GAMZIRI.

● SOFEL JAFARIZIS PARIKMAXEREBI SAXELOSNOSI AR ICAVEN SANITARUL NORMEBS. ANTISANITARIAA ASEVE SAEQIMO UBNIS OTAXEBSIC. RAISAAVADMYOFOS SANEPIDSADGURIS MTAVARI EQIMI AMX. V. BATIASVILI GVWERS, ROM CVENS MIER GAMOQVEYNEBULI FAQTEBI SINAMDVILEA. MAT UKVE DALUQES ES SAPARIKMAXERO, DALUQVIS MEORE DRESKI LUQI AIXSNA DA MISI REMONTI DAIWYO. REMONTIA ASEVE AMBULATORIASIC, SAMUSAOEBIS DASRULEBIS SEMDEG AQAC DACULI IQNEBA SANITARULI NORMEBI.

● SOFEL GAMARJVEBIS KOLMEURNEOBIS MEROREOBIS FERMASI UYURADREBOBIS MIZEZIT ROREBIS DIDI RAODENOBA DAECA. KOLMEURNEOBIS TAVMJDOMARE N. QIZIYURASVILI REDAQCIAS SWERS, ROM SAKITXI PARTIULMA KREBAM GANIXILA DA DAMNASAVEEBS SESAFERISI SASJELI DAEDOT FERMIS GAMGES, S. POPIASVILS SASTIKI SAYVEDURI GAMOECXADA PIRAD BARATSI SETANIT DA MATERIALURI ZARALIS ANAZRAUREBA DAEKISRA. XOLO VETEQIMEBIS SAQMEEBI RAIPROKURATURAS GADAEGZAVNA.

(STILI DACULIA)

მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

რძის მწარმოებელი კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამაში რეგისტრაცია გაგრძელდა

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ვებ-გვერდზე www.acda.gov.ge რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდამჭერ სახელმწიფო პროგრამაში რეგისტრაცია 19 მარტამდე გაგრძელდება.

სახელმწიფო პროგრამა მოიცავს მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის (თხა, ცხვარი) დარგის კოოპერატივების ხელშეწყობას.

სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში მესაქონლეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს გადაეცემა სხვადასხვა სიმძლავრის რძის მიმღებ-გადამამუშავებელი აღჭურვილობა და ნედლი რძის კონტროლის საველე ლაბორატორიული ხელსაწყოები.

პროგრამაში მონაწილე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესებისა და პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით, მიიღებენ ხელოვნური განაყოფიერებისთვის საჭირო აღჭურვილობას.

თუ კოოპერატივის ან/და მისი მეპაიეების საკუთრებაშია არანაკლებ 200 სული თხა (ნეზვი), მას გადაეცემა 12 ადგილიანი საწველი და ყველის დამამზადებელი რძის საწარმოო აღჭურვილობა.

სახელმწიფო პროგრამაში ჩართული კოოპერატივის ვალდებულებას წარმოადგენს საწარმოს შენობა-ნაგებობის აშენება, რომელშიც განთავსდება კაპიტალური ინვესტირების ფარგლებში გადასაცემი დანადგარები.

მეცხვარეობის კოოპერატივებს თანადაფინანსებით ღირებულების 30%-ად, მობილური ტიპის 24 ადგილიანი საწველი აღჭურვილობა გადაეცემა, თუ კოპერატივს ან/და მის მეპაიე(ებ)ს საკუთრებაში გააჩნიათ არანაკლებ 1000 სული ცხვარი (ნერბი).

პროგრამაში ჩართულობით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს საშუალება ეძლევათ, მოახდინონ რძის მიღება სტანდარტების დაცვით, რაც ხელს შეუწყობს საწარმოო ციკლის გაზრდით კოოპერატივების მეპაიეების შემოსავლების ზრდას.

მონატრება

ნინა ბუჩუკური



3 მარტი დედის დღეა. ბევრი ზეიმობს ამ დღეს, მე კი სევდა მიპყრობს, რადგან ვერავის მივულოცავ, ვეღარავის დავუძახებ დედას. მხოლოდ მოგონებები მივსებს ამ დანაკლისს და შენი საფლავი, სადაც მოვდივარ და გესაუბრები, როგორც ცოცხალს. დედა, გიძღვნი ჩემს მოკრძალებულ ლექსს.

შენ მაჩუქე სიცოცხლე და სიხარული,
დედა,
დამანახე საქართველოს მზით გამთბარი
ზეცა,
ჰირველ ნაბიჯებს რომ ვდგამდი,
ვტიკტიკებდი და გეძახდი, დედა...
მერე ჭაღარა შემოგეჰარა,
და ნაოჭებიც, დედა,
მაგრამ სინაზე და სიხეტაკე
ვერ დაგიფარა, დედა...
მინდა ვხედავდე შენს სათნო სახეს,
შვილებზე ფიქრით დაღალულ თვალებს,
მაგრამ სიკვდილმა გვაჯობა, დედა,
ახლა ვუმზერი გაყინულ სახეს.

შენი შვილი, ლუიზა ვარდაშვილი

გაზეთ „შირაქის“ რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მარინა ქორიძეს დედის

მერი კუპრაძის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე თენგიზ პოპიაშვილი, ძმა ლერი გიგოლაშვილი, შვილები: ნათია, თამუნა, ნინო პოპიაშვილები, სიძეები გია ალხანიშვილი, გოჩა ბედოიძე მაზლი ნოშრევანი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მარინე ალექსანდრეს ასული გიგოლაშვილი.

დაკრძალვა 6 მარტს, 1 საათზე სოფელ გამარჯვებაში.

გაზეთ „შირაქის“ რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნანა ჭიჭინაძეს და მარიკა პოპიაშვილს რძლის და ბიცოლას

მარინე გიგოლაშვილის

გარდაცვალების გამო.

გაზაფხულია, გაზაფხულია...

მოხვედი ჩემთან, გაზაფხულო,
როგორ მინდოდი,
სავსე ვარ სევდით და ეჭვებმა
სული დაფლითა,
შეურვებული უმზეობით,
უამინდობით
და ასე გრძელი, უსაშველოდ
გრძელი ზამთრითა.
მოხვედი ჩემთან, გაზაფხულო,
მოხვედი ჩემთან,
მადლობა, ჩემო, ჩემი ჰოვნა
არ გაგიძნელდა,
მთელი ზამთარი მე ვიცხოვრე
ეჭვთან და ცრემლთან
და ქარიშხალიც მაწამებდა,
ბეჭებს მინგრევდა.
ახლა თუნდ მოვკვდე,
ეს სიკვდილიც არის იოლი,
რადგან გიხილე, შენი ხილვა
რადგან მედირსა,
ჩემს სხეულიდან ჩემორეცხავს
ნაგავს იორი,
დამასაფლავებს თეთრ ნისლებში
გათენებისას.
მოხვედი ჩემთან, გაზაფხულო,
მოხვედი ჩემთან,
როგორ მინდოდი, როგორ მსურდი,
როგორ მწყუროდი,
ჩემი ტკივილის მიზეზია
დღეს მხოლოდ ეს ცა,
თავის სიტურფით, ეჭვებით და
უსასრულობით.

ტარიელ ხარხელაური

სამი მედალი საქართველოს მკლავჭიდის ჩემპიონატიდან

24-25 თებერვალს ქალაქ თბილისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი მკლავჭიდში. ასპარეზობა სპორტკომპლექს „ახალ თბილისში“ შედგა, სადაც დედოფლისწყაროელი მკლავჭიდელებიც მონაწილეობდნენ. მათ შორის იყვნენ უკვე წარმატებული სპორტსმენები: **ზაზა კობაიძე** (90 კგ წონითი კატეგორია) და **გიგა მნათობიშვილი** (+110 კგ, მძიმე წონითი კატეგორია).

ტურნირი ტარდებოდა როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენეთა შორის. დედოფლისწყაროელმა სპორტსმენმა ზაზა კობაიძემ მხოლოდ მემარცხენეთა შორის იასპარეზა, რადგან მსოფლიო ჩემპიონატზე მიყენებული მარჯვენა ხელის ტრავმა ჯერ კიდევ არ მოშუშებია. კობაიძემ მემარცხენეთა შორის მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა.

რაც შეეხება გიგა მნათობიშვილს, მან უფროსი ასაკის მეტოქეებთან პირველად იასპარეზა და მისი დებიუტი წარმატებული აღმოჩნდა. ორივე ხელით ასპარეზობაში მან მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა.

როგორც სპორტსმენების მწვრთნელმა გელა ბექაურმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, ამ ჩემპიონატზე მოპოვებული ნებისმიერი საპრიზო ადგილი ავტომატურად ნიშნავს ევროპის ჩემპიონატის ლიცენზიის მიღებას, შესაბამისად, მასში მონაწილეობა დამატებით მნიშვნელობას იძენს. ის დედოფლისწყაროელი სპორტსმენების ასპარეზობას წარმატებულს უწოდებს.

„მნათობიშვილის ასპარეზობაც დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს ახალგაზრდა სპორტსმენისთვის. მიუხედავად მესამე ადგილისა, წარმატებული გამოსვლა იყო იმ კუთხითაც, რომ აღნიშნული ტურნირის პრიზიორობა გულისხმობს ლიცენზიის მიღებას ევროპის ჩემპიონატისთვის. ამ ფონზე, როცა სპორტსმენებს არ გააჩნიათ სავარჯიშო დარბაზი, სათანადო ინვენტარი, ტრენაჟორები. დედოფლისწყაროელ სპორტსმენებს ზამთარზაფხულს ღია ცის ქვეშ უწევთ პრიმიტიული სავარჯიშოებით მომზადება. ასეთი პირობებით კი მოგეხსენებათ შეუძლებელია დიდი მიზნების მიღწევა, რასაც საქართველოს, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონობა ჰქვია,“ - აღნიშნავს მკლავჭიდის მწვრთნელი გელა ბექაური.

ჩემპიონატს 500-ზე მეტი მონაწილე ჰყავდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. უკვე პროფესიონალ მკლავჭიდელებთან ერთად გამოვლინდა და გამოიკვეთა უამრავი ახალი სახე, ჩემპიონატის ღირსეული გამარჯვებული, ახალი ჩემპიონი და ახალი პრიზიორი. ამ ეტაპზე მკლავჭიდის ფედერაცია რეორგანიზაციის პროცესშია. ამიტომ მომავალში უამრავ საინტერესო ღონისძიებას და პროექტს გეგმავს, ხოლო რაც შეეხება 2019 წლის საქართველოს ჩემპიონატს, ის უფრო დახვეწილი და სრულყოფილი იქნება, როგორც მაყურებლებისთვის, ისე გულშემატკივრებისთვის.

ილია მარტყოფლიშვილი

პირადობის მოწმობა—უფასოდ

მოქალაქეთა გარკვეულ კატეგორიას პირადობის მოწმობის აღება 1 ნოემბრამდე უფასოდ შეეძლება. როგორც იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, აქცია 1 მარტს დაიწყო.

აქციის ფარგლებში, პირადობის მოწმობის უფასოდ აღებას შეძლებენ ის პირები, რომლებსაც საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი არცერთი აქტიური დოკუმენტი (პირადობის მოწმობა, პასპორტი) არ გააჩნიათ; არასდროს ჰქონიათ აღებული მოქალაქის დოკუმენტები; პირებს, რომელთაც 1 მარტამდე ნებისმიერი მიზეზით გაუუქმდათ ყველა დოკუმენტი.

აქციით სარგებლობა შესაძლებელია ასევე იმ შემთხვევაში, თუ პირი მოხსნილია საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციიდან, ამის საფუძველზე გაუქმებული აქვს პირადობის მოწმობა და იდენტიფიცირებად მისამართზე გადის რეგისტრაციას.

აქციით სარგებლობა შეუძლიათ ასევე იმ 17 წლის პირებსაც, რომელთაც 18 წელი 2018 წლის 1 ნოემბრისთვის უსრულდებათ.

აღსანიშნავია, რომ აქციის ფარგლებში ფოტოს გადაღებაც უფასოდ იქნება შესაძლებელი. ამასთან, აღნიშნული აქცია მხოლოდ პირადობის მოწმობას შეეხება და პასპორტის აღება ჩვეულებრივი სტანდარტული ფასი ეღირება.

ულოცავენ!

სოსო და მარიკა თევზაძეებს!

გილოცავთ შვილიშვილის, ლილეს დაბადებას, პატარას ვუსურვებთ ბედნიერ გარემოში და ქართული ეროვნული სულისკვეთებით აღზრდას. იყოს მუდამ ლაღი და დაანათლოს უფალმა სუფთა გული. ანგელოზთა მფარველობა არ მოაკლდეს, დაებედოს ყველა სიკეთე და მშვენიერება.

პატივისცემით
ოზაანის სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი.

ვაკანსია

საქართველოს ბანკი

„სს „საქართველოს ბანკი“ აცხადებს ვაკანსიას პრობლემური სესხების მენეჯერის თანამდებობაზე დედოფლისწყაროში. ვაკანსიის დეტალური აღწერა გთხოვთ იხილოთ ვებგვერდზე jobs.bog.ge დაინტერესებულ კანდიდატებს, გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ თქვენი რეზიუმე (CV) ელ. ფოსტის მისამართზე Regionjob@bog.ge ან დატოვოთ შესაბამისი რეგიონის სერვის ცენტრში, მის: ჰერეთის ქ. №42, კორპუსი №15

შეკითხვების შემთხვევაში გთხოვთ დაგვიკავშირდეთ: პერსონალის შერჩევის სამსახური,
☎ +995 32 2444 422 გისურვებთ წარმატებას!“

ყურადღება:
სასწრაფოდ იყიდება!

სასოფლო-სამეურნეო, იგივე საკარმიდამო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვადასხვა ნაგებობების ასაშენებლად. ფართობი: 999 კვ.მ. **მისამართი:** დედოფლისწყაროს რაიონი, სოფ. ხორნაბუჯი, კოსტავას ქუჩა (რუსულ-ქართული სკოლის მიმდებარე ტერიტორია). მსურველებმა დარეკეთ **ტელეფონზე: 599 23 89 98.** ფასი შეთანხმებით.

ვაკანსია

კაფე-რესტორანი „დავითი“ აცხადებს ვაკანსიას 18-დან 40-წლამდე ქალბატონებისთვის. დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ მისამართზე: **რუსთაველის ქუჩა №53,** ან დაგვიკავშირდით ნომერზე:
☎ 577-34-55-39

ყურადღება:

8 მარტს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრი უმასპინძლებს ნუნუ კობაიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირს ჭადრაკში. მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერი ასაკის ყველა მსურველს. დასაწყისი 10 საათზე, მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, კოსტავას ქ. №3.
☎ 595 090513

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 05.03	სამშაბათი 06.03	ოთხშაბათი 07.03	ხუთშაბათი 08.03	პარასკევი 09.03	შაბათი 10.03	კვირა 11.03
დღე	11 °	7 °	5 °	12 °	9 °	10 °	9 °
ღამე	7 °	4 °	4 °	10 °	7 °	8 °	7 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.